# ლელო

№ 64
(11024)

12 — 15 ოქტომბერი, 1996 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## უკანასკნელ საათს

### კვლავ „დინამო" — „ბოავიშტას" მატჩის ირგვლივ

თუ ადრე ქართულ გუნდებს თურქი მსაჯები დაებედათ, ოქტომბერი „ბელგიური" იქნება — პერუჯაში იტალია — საქართველოს მატჩი ერიკ ბლარომ იმსაჯა, ხოლო „დინამო" — „ბოავიშტას" შეხვედრას მანიკს სანდრა მოემსახურება.

მატჩს ვერ დაესწრება „დინამოს" კლუბის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია. როგორც უეფას პროფესიული ფეხბურთის კომიტეტის წევრი, იგი ჟენევაში მიემგზავრება და მონაწილეობას მიიღებს ამ კომიტეტის სხდომაში.

„დინამოს" ხელმძღვანელობამ მოიპოვა „ბოავიშტა" — „ოდენსეს" (დანია) მატჩის ვიდეოფირი, რომლის ნახვის შემდეგაც „დინამოს" ერთ-ერთმა მწვრთნელმა ნოდარ აკობიამ მაღალი შეფასება მისცა პორტუგალიელთა გუნდის თამაშს — მოთამაშეები ტექნიკურები არიან, თამაშობენ ტიპიურ სამხრეთამერიკულ ფეხბურთს, არიან ზედმეტად ემოციურები, ზოგჯერ უდისციპლინობითაც გამოირჩევიან ხოლმე. „ბოავიშტას" ძლიერი თავდამსხმელები ჰყავს, ამავე დროს, — არცთუ ისე დამაჯერებლად იცავენ თავს, რის გამოყენებასაც შეეცდება „დინამო".

„დინამო" — „ბოავიშტას" 15 ოქტომბრის მატჩზე დასასწრები ბილეთები 3-დან 5 ლარამდე ეღირება.

დინამოელთა მწვრთნელების თქმით, გოჩა ჯამარაულმა ტრავმა მოიშუშა და მონაწილეობას მიიღებს 15 ოქტომბრის მატჩში.

◆

### ჭაბუკები დიდ სამზადისში არიან

„ლელოს" წინა ნომერში გაგაცანით 16 და 18 წლამდე ჭაბუკთა ევროპის პირველობათა კენჭისყრის შედეგები. როგორ ემზადებიან ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდები ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისათვის?

**საქართველოს 16 წლამდე** ჭაბუკთა ნაკრები, რომლის თავკაციც რევაზ გაგუაა, 13 ოქტომბერს მცხეთაში, ამხანაგურ მატჩს გამართავს რუსეთის 18 წლამდე ასაკის ნაკრებთან. ეს იქნება ბოლო საკონტროლო მატჩი, რის შემდეგაც გუნდი ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირზე გაემგზავრება საბერძნეთში (23 ოქტომბერს ჩვენები მასპინძლებს ხვდებიან, ხოლო 25-ში — ბულგარელებს).

უკვე გამოიკვეთა ის 16 ფეხბურთელი, რომელიც გაემგზავრება ევროპის ჩემპიონატზე. ძირითადი საბაზო გუნდია „ნორჩი დინამოელი", 4 ფეხბურთელია აჭარიდან, თითო-თითო ყვარლიდან და თბილისის „ავაზადან".

**18 წლამდე ჭაბუკთა** ნაკრები (მთავარი მწვრთნელი ვახტანგ კოპალეიშვილი) შესარჩევ ტურნირს ბულგარეთში გამართავს (15 ოქტომბერს ჩვენები მასპინძლებს, ხოლო 19-ში სომხებს შეხვდებიან).

ამჟამად ნაკრები დიღმის ბაზაზეა შეკრებაზე. აი, ის 16 მოთამაშე, რომელიც ევროპის პირველობისათვის ემზადება: მეკარეები — ზურაბ ბათიაშვილი (უგუნდო), გიორგი ლომაია („დინამო-2") მინდვრის მოთამაშეები — ზურაბ აიონიდი (ხონის „ოლიმპია"), შოთა ჩომახიძე, დავით პეტრიაშვილი („სამტრედია"), რატი ალექსიძე, გიორგი კვარაცხელია, მამუკა წერეთელი (თბილისის „დინამო"), შალვა მუმლაძე, გიორგი შენგელია (ქუთაისის „ტორპედო"), კლიმენტი წიტაიშვილი (ზუგდიდის „ოდიში"), ზურაბ მენთეშაშვილი (თბილისის „ვაკე-91"), გიორგი ფარქოსაძე („არმინია" გერმანია).

ქართველი ჭაბუკები ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირებში უკვე კარგა ხანია მონაწილეობენ. მაგრამ ვერა და ვერ გაცდნენ ჯგუფურ ტურნირს. ეგებ წელს მაინც გატყდეს ნავსი?

*„თვითმფრინავმა აილო სისწრაფე. სპიდომეტრი უკვე 215 კილომეტრს აჩვენებდა, როცა ჯეიმს ტაინერმა მარჯვენა მხარეს ნაცნობი გუგუნის ხმა გაიგონა. სპიდომეტრის ისარმა ნელ-ნელა ქვემოთ იწყო დაშვება და როცა მან 195 კილომეტრის ნიშნულს მიაღწია, ასაფრენი ზოლიც დამთავრდა..."*

„მანჩესტერ იუნაიტედის" ტრაგიკული ბედის შესახებ წერილს გთავაზობთ **მე-3 გვერდზე**.

# «დინამო» (თბილისი) - «ბოავიშტა» (პორტუ)

**11 ოქტომბერი. ლისაბონი (პორტუგალია). «ლელოს» საკუთარი კორესპონდენტი ზურაბ ჯიქია გვატყობინებს:**

საოცარი წელიწადი დაუდგათ პორტუგალიელ ფეხბურთის მოყვარულებს: ჯერ იყოდა, ზაფხულამდე ეროვნული ნაკრების ამბებით იქცევდნენ თავს. ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირით დაინტერესდნენ, მაგრამ სომხეთთან და უკრაინასთან წარუმატებელი მატჩების შედეგად (ფრე, წაგება) ნაკრებისადმი ინტერესი გაუნელდათ და ახლა მხოლოდ კლუბური ფეხბურთით სულდგმულობენ და აკი მოლოდინიც გაუმართლდათ: პრესტიჟულ ევროპულ ტურნირებში პორტუგალიური კლუბები წარმატებით გამოდიან.

ცხადია, ქართველ გულშემატკივრებს „ბოავიშტასთან" დაკავშირებული ამბები აინტერესებს და ამ კორესპონდენციაში სწორედ მასზე გვექნება საუბარი.

პორტუგალიის ჩემპიონატში, რომელშიც 18 გუნდი მონაწილეობს, ხუთი ტურის მატჩები გაიმართა. ცხრილის სათავეში 13-13 ქულით პირველ-მეორე ადგილებს „ბენფიკა" და „სპორტინგი" იყოფენ. პორტუს „ბოავიშტა" 7 ქულით მეშვიდე ადგილზეა (2-მოგება, 2-წაგება, 1 — ფრე, ბურთების შეფარდება 8-8). მორიგი მეექვსე ტური 12 ოქტომბერს გაიმართება. „ბოავიშტა" საკუთარ მინდორზე ცხრილის შუაგულში მყოფ „ლეცას" ხვდება.

პოპულარული საფეხბურთო გაზეთ „ბოლას" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულია ინტერვიუ „ბოავიშტას" მეორე მწვრთნელ რუი კაშაკასთან. ეს ის კაშაკაა რამდენიმე დღის წინათ „დაზვერვაზე" თბილისში რომ იმყოფებოდა და თბილისის „დინამოსა" და ხაშურის „ივერიის" მატჩს დასწრებია (მაშინ, როგორც გახსოვთ, პორტუგალიელი „მსტოვრების" დასაბნევად ყიფიანმა „დინამოს" არეულ-დარეული შემადგენლობა გამოიყვანა — რედ.).

ინტერვიუში კაშაკა მაღალ შეფასებას აძლევს დინამოელი ფეხბურთელების ოსტატობას. ისინი ჩვენსავით ტექნიკურები არიან, აქვთ იმპროვიზაციის ნიჭი, ჰყავთ კარგი შემსრულებლები. ეგ არის, რომ ერთი მატჩის ნახვით ძნელია იმსჯელო გუნდის სიძლიერეზე, თანაც „დინამოს" იმ დღეს აშკარად სუსტი მეტოქე ჰყავდაო.

როგორც კაშაკამ განაცხადა, თბილისში გუნდს საგულშემატკივროდ 80-მდე კაცი ჩამოჰყვება. „შეგიძლიათ დაწყნარებული იყოთ — თბილისი ლამაზი, ისტორიული ძეგლებით მდიდარი ქალაქია. სასტუმროც უმაღლესი კლასისაა, ხალხიც სტუმართმოყვარეა. მატჩი შედგება თბილისის ეროვნულ სტადიონზე, რომელზეც 80 ათასი მაყურებელი ეტევა და ვარაუდობენ, რომ იგი შეივსება. ამდენი მაყურებლის თანდასწრებით „ბოავიშტას" ჯერ არ უთამაშია და ეს სასიამოვნოც იქნება! თუ თბილისიდან ქულა ჩამოვიტანეთ, ბედნიერი ვიქნებით!" — აცხადებს პორტუგალიელთა გუნდის მწვრთნელი. ამავე დროს იგი შეშფოთებას გამოთქვამს ტრავმირებული მცველის ჟოზე ტავარეშის და მეკარე ალფრედოს ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე.

„დინამო" — „ბოავიშტას" მომავალ მატჩს ეხმაურებიან სხვა პორტუგალიური გაზეთებიც. მათი საერთო აზრით, მეტოქეთა ძალები დაახლოებით თანაბარია, თუმცა, რასაკვირველია, ყველანი „ბოავიშტას" უსურვებენ წარმატებას. გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზეც, რომ განმეორებითი მატჩის ბილეთების გაყიდვა პორტუს „ესტადიო დუ ბესას" სტადიონზე მაღალი ტემპით მიდის და 30-ათასიანი სტადიონი იმ დღეს უთუოდ შეივსება.

**„ბოავიშტა" (პორტუ)**
(დაარსდა 1903 წელს)

მეკარეები: ალფრედო (34 წლის, სიმაღლე — 180 სანტ., წონა — 82 კგ.), რიკარდუ პერეირა (20,188,77), ტო ლუიში (29,181,81)

მცველები: პაულუ სოუზა (29,171,68), რუი ბენტო (24,176,72), ჟოზე ტავარეში (30,179,66), ნელუ (29,177,70), კარლუშ ლიტუში (22,184,99), ჟაინე აილეში (31,169,62), პედრო ემანუელი (21,180,81), ისაიაში (29,187,80), მარიო სილვა (19,175,73).

ნახევარმცველები: სერჟიო დუარტე (30,184,79), პელდერი (24,174,82), ტიმოფტე (29,177,72), ბობო (33,178,80), სანჩესი (27,175,74), რიკარდუ ნასიმენტუ (22,180,73), ჟორჟე კოუტუ (26,170,71), ლატაპი (28,168,64), ლუი ლიმა (18,170,72).

თავდამსხმელები: ჯიმი (24,180,85), სიმიჩი (27,167,67), მარტელინო (22,175,69), ნუნიუ გომეში (20,180,76), მორეირა (18,161,69).

## მალე ქართველი მეკარე თავისუფალი აგენტი გახდება

### რომელ კლუბში გააგრძელებს იგი თავის კარიერას?

საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარეს აკაკი დევაძეს მომავალი თვის 28 რიცხვში 25 წელი შეუსრულდება. თითქოს გუშინ იყო, „ნორჩ დინამოელში" რევაზ გაგუასთან რომ ეზიარა ფეხბურთის ანბანს. შემდეგ იყო ეროვნული ჩემპიონატი — თბილისის „იბერია", ზესტაფონის „მარგვეთი", თბილისის „შევარდენი-1906", ფოთის „კოლხეთი—1913", კვლავ „შევარდენი—1906" და, ბოლოს, — რუსეთის ჩემპიონატი, კერძოდ, როსტოვის „როსტსელმაშში": ბრწყინვალედ ჩატარებული 1994 და 1995 წლების საფეხბურთო სეზონი, გუნდის თავკაცის სერგეი ანდრეევის, რუსული პრესის ქათინაურები ქართველი ლეგიონერის უზადო ოსტატობის თაობაზე, სხვა, რანგით უფრო მაღალი გუნდებიდან მოწვევები, საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში დამაჯერებლად ჩატარებული მატჩები.

სამწუხაროდ, ყოველივე ამის შესახებ ვლაპარაკობთ წარსულ დროში, ვინაიდან წლევანდელი საფეხბურთო სეზონი დევაძეს აშკარად „ჩაუვარდა". ამის მიზეზია მოუშუშებელი ხელის ტრავმა, რის გამოც „ცალხელა მეკარეც" კი შეარქვეს.

ამ ბოლო დროს დევაძეს ანდრეევთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა, შედეგად ჩვენმა თანამემამულემ გადაწყვიტა „როსტსელმაშიდან" წამოსვლა — მას ერთ თვეში უმთავრდება კონტრაქტი ამ კლუბთან. როგორც შევიტყვეთ, ქართველი მეკარის შეძენის სურვილი გამოთქვეს ისრაელის, შოტლანდიის, გერმანიის კლუბებმა, არც რომელიმე რუსულ გუნდშია გამორიცხული მისი გადასვლა.

◆

### უეფა განრისხებულა...

„ლელოს" წინა ნომერში ვიუწყებოდით, თუ როგორ დასაჯა უეფამ **თბილისის „დინამო"** უეფას თასის 1/32 ფინალის მატჩში (მოსკოვის „ტორპედოსთან") მიღებული 5 გაფრთხილების გამო – კლუბი 5000 შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმეს. ქვემოთ გაცნობებთ, რა სანქციები გამოუტანეს ევროპულ საკლუბო ტურნირებში დისციპლინის დამრღვევ სხვა გუნდებს.

**პორტუგალიის „ვიმარაეში"** უეფამ 25 000 შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა იტალიის „პარმასთან" განმეორებით შეხვედრაში მასპინძელთა არასპორტული საქციელისათვის: ადგილობრივი აუტის ბიჭუნები და ფოტორეპორტიორები განზრახ აჭიანურებდნენ ბურთის მინდორზე დაბრუნებას. ტრიბუნებიდან მინდორზე კი გულშემატკივრები დახვეულ ქაღალდს ყრიდნენ.

უნგრეთის ჩემპიონს. პოპულარულ კლუბ **„ფერენცვაროშს"** უეფა დაემუქრა – უეფას თასის გათამაშებიდან გაგაძევებთო – 10 სექტემბერს, ბუდაპეშტში საბერძნეთის „ოლიმპიკოსთან" შეხვედრაში უნგრელი გულშემატკივრები არაეთიკურად იქცეოდნენ. „ფერენცვაროში" დაჯარიმებულია 100 000 შვეიცარიული ფრანკით.

# არიგო საკი: „ქართველები ამ ჯგუფში ბევრს გაამწარებენ, თბილისში ქულათა მარაგით უნდა ჩავიდეთ"

**ადიე, საკი! საქართველომ, ნაბების მიუხედავად, იგი საბოლოოდ დაასამარა — ასეთი ანუსლაბით ბამოვიდა 10 ოქტომბერს „ბაძძეტა დელო სპორტი".**

9 ოქტომბერი. პერუჯა. 27.000 მაყურებელი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: იტალია—საქართველო 1-0. მსაჯი: ე. ბლარო (ბელგია).

*იტალია:* ტოლდო, პესოტო, მალდინი, ნესტა, ფერარა, კარბონი (ძოლა, 16), დი ლივიო (პანუჩი, 80), კონტე (დ. ბაჯო, 60), კაზირაგი, დი მატეო, რავანელი.

*საქართველო:* ზოიძე, ლობჟანიძე, ცხადაძე, შელია, კუდინოვი (ინალიშვილი, 46), გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, კობიაშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე, გოგრიჭიანი (რ. არველაძე, 28).

*გოლი:* რავანელი (43)

*გააფრთხილეს:* კუდინოვი

ფეხბურთში მთავარი საბოლოო შედეგია. ამ კუთხით თუ მივუდგებით, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები, რასაკვირველია, კმაყოფილები უნდა იყვნენ — „სკუადრა აძურამ" მორიგი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. მაგრამ, როგორც მატჩის შემდგომ იტალიური პრესა აღნიშნავდა, ეს არ იყო შთამბეჭდავი გამარჯვება: „იტალიის საკისეულმა ნაკრებმა მორიგი გამარჯვება კი მოიპოვა, მაგრამ გულშემატკივრები ვერ გაახარა. „სკუადრა აძურამ" პერუჯაში ის გაუმჯობესებული თამაში ვერ აჩვენა, რასაც ვპირდებოდა, ხოლო მეორე ტაიმში ერთბურთიანი სხვაობის შენარჩუნებაც გაჭირდა... საკის ბედი ტოლდოსთან პირისპირ გასული ქეცბაის ხელში იყო. შენ რა გითხარი, ქეცბაია, გაგეტანა ის გოლი, საკის რომ ნაკრებს ჩამოაცილებდა" — წერს იტალიური „პაეზე სერა".

დიახ, ქართველ ფეხბურთელებს მატჩის მეორე ნახევარში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, პირველში კი — მხოლოდ ერთი, როდესაც ქინქლაძე-ქეცბაიას ჩინებულად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ეს უკანასკნელი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მსაჯმა არასწორად დააფიქსირა თამაშგარეში მდგომარეობა.

*ირაკლი ზოიძე*

საკიმ, როგორც მოველოდით, 4-4-2 ტაქტიკური სქემით ათამაშა თავისიანები: უკან — ფერარა, ნესტა, პესოტო, მალდინი, შუახაზში — დი ლივიო, დი მატეო, კონტე, კარბონი, წინ — კაზირაგი და რავანელი. ჩივაძემ მეტოქეს 4-5-1 სქემა დაუპირისპირა: დაცვაში — ლობჟანიძე, ცხადაძე, შელია, კუდინოვი, ნახევარდაცვაში — გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ქინქლაძე, ქეცბაია, კობიაშვილი, წინ — გოგრიჭიანი.

რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად მასპინძლები მატჩის დასაწყისშივე დაეპატრონნენ მოედნის შუაგულს — ამ წუთებში ისინი უფრო მობილურად და აგრესიულად მოქმედებდნენ და სახიფათო პასებით ამარაგებდნენ წინ წაწეულ რავანელისა და კაზირაგის. მატჩის მე-16 წუთიდან ამ უკანასკნელთ დამხმარედ ძოლაც მიუჩინეს, რამაც უფრო მეტი სიმწვავე შემატა იტალიელთა შეტევებს. ქართველების სასახ-

იხ. მე-5 გვ.

# საჭადრაკო კარის ინტრიგები

გარი კასპაროვი

ანატოლი კარპოვი

**ერევანში, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში ფიდეს პრეზიდენტად ხელახლა აირჩიეს კირსან ილიუმჟინოვი. ამ ერთი შეხედვით უმტკივნეულო პროცედურულ აქტს წინ უსწრებდა საკმაოდ ჩახლართული, კულისებსმიღმა ინტრიგები.**

ივნისში ელისტაში გაიმართა ფიდეს ალმასკომის სხდომა, რომელმაც დაადგინა, რომ ერევანში არჩევნები მოეწყობოდა ე.წ. პრეზიდენტის ბილეთის პრინციპით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრეზიდენტობის კანდიდატს თავის სიაში უნდა შეეყვანა შვიდი კაცი, რომელთა ყოფნასაც მოისურვებდა „საპრეზიდენტო გუნდში". ამასთან, ხელმძღვანელთა ეს რვაკაციანი ჯგუფი სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციების წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ.

მაგრამ მომდევნო პერიოდის რეალურობამ ერთგვარი კორექტივები შეიტანა ამ, თითქოსდა მწყობრ სისტემაში. დაიწყო საკმაოდ სერიოზული კულისებსმიღმა ბრძოლა, რაც აგრერიგად ახასიათებს ბოლო ათწლეულის საჭადრაკო ცხოვრებას. აი, სწორედ მაშინ წამოაყენა ილიუმჟინოვმა ახალი წინადადება: არჩევნები უნდა მოხდეს პრეზიდენტისა და მისი მოადგილის თანამდებობებზეო.

ისევ ატყდა აურზაური: „ვინ ვისთან იქნება, რამდენი მოადგილე ეყოლებოდა პრეზიდენტს, რა სისტემით უნდა მოხდეს მათი არჩევა და ა.შ." ამ ახალ არეულობაში უამრავი გვარი დასახელდა, უამრავი პრობლემა წამოიჭრა. და, რაც მთავარია, ძალზე ხშირად ფიგურირებდა ფრანგი კუატლის სახელი.

მსოფლიო ოლიმპიადის დღეებში ერევანს ესტუმრა ანატოლი კარპოვი. შეჯიბრება მას არ აინტერესებდა. კარპოვს მონაწილეობა უნდა მიეღო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესისა და გენერალური ასამბლეის მუშაობაში. კარპოვის გამოჩენამ ერევანში საჭადრაკო ინტრიგებს ახალი ბიძგი მისცა. სწორედ ამ საერთო აჟიოტაჟის პირობებში მსოფლიოს ჩემპიონმა (ფიდეს ვერსიით) პრესკონფერენციის გამართვა მოისურვა.

— კუატლის გუნდი, — განმარტა მან, — შეიქმნა მოსკოვში 1994 წელს. მაშინ მე ამ გუნდის წევრი არ ვიყავი, თუმცა ყოველმხრივ ვუჭერდი მხარს. კუატლიმ ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ ილიუმჟინოვს გაემარჯვა 1995 წლის პარიზის კონგრესზე არჩევნებში. ილიუმჟინოვსა და კუატლის ერთი ღამის განმავლობაში რომ არ გამოენახათ მაშინ საერთო ენა, დღეს ჩვენ აქ არ ვისხდებოდით. ფრანგმა დიდოსტატმა ბევრი გაიღო ჭადრაკის განვითარებისათვის. თუნდაც ის რად ღირს, რომ 1990 წელს ბრწყინვალედ ჩაატარა კარპოვ-კასპაროვის მატჩის მეორე ნახევარი ლიონში. მან შექმნა ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი ევროპაში. მისი დამსახურებაა ისიც, რომ ბავშვთა ჭადრაკს ჰყავს ფინანსური თვალსაზრისით უძლიერესი სპონსორი — „დისნეილენდი", საფრანგეთი კი სისტემატურად ატარებს ბავშვთა საჭადრაკო ტურნირებს. ჩემი ღრმა რწმენით, უდიდეს შეცდომას დავუშვებთ, თუ იგნორირებას გავუკეთებთ ასეთ აქტიურ მოღვაწეს. კუატლიმ ფიდეს ხელმძღვანელობაში ერთ-ერთი უმაღლესი პოსტი უნდა დაიკავოს.



კირსან ილიუმჟინოვი

ამ პათეტიურ მონოლოგს კარპოვმა მოაყოლა თავისი მოსაზრებები კასპაროვთან მატჩის თაობაზე. კერძოდ მან თქვა:

— ჩვენ გვქონდა მოლაპარაკება, რომელსაც კვლავაც გავაგრძელებთ. ასეთი მატჩის მოწყობა რომც გახდეს რეალური, მას მხოლოდ 1998 წლისათვის უნდა ველოდოთ. ასეთი შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ ჯერ მრავალი პირობაა განსახილველი.

ერთი თუ ორი დღის შემდეგ გამოქვეყნდა კარპოვის განცხადება:

„არსად და არასდროს მე, ა. ე. კარპოვს არ მითხოვია ა. მაკაროვისათვის (ეს უკანასკნელი რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი გახლავთ. რედ.) გაეკეთებია რაიმე განცხადება ჩემი სახელით... გ.კ. კასპაროვს უკანასკნელად შევხვდი 23.08.96-ში მოსკოვში, ყალმუხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობაში. ჩვენი მატჩის კონტრაქტი არც კი მომზადებულა... მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ეკუთვნის არა მარტო ა.ე. კარპოვს, არამედ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციასაც. დაიხსომეთ! მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის უფლების დაკარგვა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის მოსპობა იქნება..."

ა.ე.-სის დეკლარაციის დასკვნითი ნაწილი დათმობილი ჰქონდა საკმაოდ მკაცრ გამოთქმებს, რაც ახასიათებს ა. მაკაროვისა და ა.ე. კარპოვის ბოლოდროინდელ ურთიერთობას.

თავის მხრივ რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა მაკაროვმა ჯიბიდან დააძრო ქაღალდი, რომელზედაც მსოფლიო ჩემპიონის (ა.ე. კარპოვის) ხელით, ფრიადოსანი მოსწავლის კალიგრაფიით გამოყვანილი იყო სიტყვა „მემორანდუმი" და შემდეგ ასეთი ტექსტი:

„წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ ჩვენ, ანატოლი კარპოვი და გარი კასპაროვი შევთანხმდით მატჩის ჩატარებაზე შემდეგი პირობებით:

1. გათამაშდება მსოფლიო ჩემპიონის სახელი.
2. მატჩი არ მოეწყობა ამჟამად არსებული ორგანიზაციების (ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია და პროფესიულ მოჭადრაკეთა ასოციაცია) ჩარჩოებში.
3. მატჩის ჩასატარებლად სპეციალურად შეიქმნება საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც დაარეგულირებს მოცემული შეჯიბრების წესებს და მათთან დაკავშირებულ საკითხებს.
4. მატჩის მონაწილეთა სტატუსი ასეთია: მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონი ფიდეს ვერსიით.
5. მატჩი შედგება არაუმცირეს 16 და არაუმეტეს 20 პარტიისაგან.
6. თუ მატჩი ფრედ დამთავრდა, გათამაშდება დამატებითი პარტიები სწრაფ ჭადრაკში (ორ დღეში 4 პარტია). თუ ეს ორთაბრძოლაც ფრედ დამთავრდა, დაინიშნება ორი დამატებითი პარტია პირველ გამარჯვებამდე, მერე კი, თუ ამანაც ვერ უშველა საქმეს, გათამაშდება ერთი პარტია, სადაც: თეთრებმა უნდა გაიმარჯვონ, ვინაიდან მათ ექნებათ ფორა დროში.
7. მატჩის მოწყობის მსურველი ქალაქები ღია წესით წარმოადგენენ განაცხადებს, რომლებსაც შემდეგ განიხილავს საორგანიზაციო კომიტეტი.
8. მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის ფორმირება და შეჯიბრების წესების ჩამოყალიბება შეუთანხმდება შეჯიბრების მონაწილეებს და მათ წარმომადგენლებს 1996 წლის 15 ნოემბრამდე.

ანატოლი კარპოვი
*გარი კასპაროვი*
14 სექტემბერი, 1996 წ.
მოსკოვი"

ემოციებს, თანამედროვეობის ამ ორი უდიდესი მოჭადრაკის ურთიერთობაში მუდამ აქვს ადგილი, მაგრამ ფაქტებსაც ხომ ვერსად გავექცევით? არადა, ამ ორგვერდიანი ხელნაწერის ბოლოში არის ორი ხელმოწერა: ერთ-ერთი მათგანია ფიდეს მსოფლიო ჩემპიონი, მეორე კი „უბრალოდ" მსოფლიო ჩემპიონის. რაც შეეხება კარპოვის განცხადებას, კასპაროვს უკანასკნელად 23.08.96-ში შევხვდიო, ორი ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ: ან ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი ტყუის, ან კიდევ ხელმოწერა მოხდა შუამავლების დახმარებით. კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებების პირობებში არ არის აუცილებელი ორი პიროვნების ურთიერთშეხვედრა.

ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ამ მატჩის თაობაზე განაცხადა, რომ მას პატრონობას გაუწევს ფიდე. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთაშორისო ფედერაცია თვითონ ჩაატარებს 5 მილიონ დოლარიან მსოფლიო ჩემპიონატს ახალი ფორმულით და ახალ, შესაძლოა, მესამე მსოფლიო ჩემპიონს გამოავლენს.

რაც შეეხება 5 მილიონს. თანხა, როგორც ილიუმჟინოვი აცხადებს, უკვე არსებობს. მაგრამ ფიდეს ტექნიკური კომიტეტის ექსპერტები ურჩევენ პრეზიდენტს ნუ იჩქარებს ამ ტურნირით. ჯერ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ტრადიციული საჭადრაკო ტურნირები და ეს ახალი შეჯიბრება, რომ არ მოხდეს დამთხვევა დროში. ამავე დროს, ექსპერტების აზრით, „ხუთმილიონიანი" უნდა გაიმართოს ორ წელიწადში ერთხელ და არა ისე, როგორც ეს ილიუმჟინოვს სურს — ყოველწლიურად.

## უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან

**ჩოგბურთი.** ევგენი კაფელნიკოვმა ლიონის საერთაშორისო ტურნირის ფინალში დაამარცხა ფრანგი არნო ბეჩი და წლევანდელ სეზონში მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. სულ კი თავის კარიერაში კაფელნიკოვს თერთმეტი ტურნირი აქვს მოგებული. მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა სიაში სადღეისოდ იგი მეოთხე ადგილზეა.

**ველოსპორტი.** მოსკოვში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი სატრეკო ველოსპორტში. გუნდური ადგილები შეჯიბრებაში განაწილდა ასე: 1. გერმანია – 96 ქულა (ვაჟები – 48 ქულა, ქალები – 48), 2. რუსეთი (შესაბამისად 41 და 51) 3. საფრანგეთი – 68 (56 და 12), 4. უკრაინა – 29 (9 და 20), 5. საბერძნეთი – 22 (მხოლოდ ვაჟთა გუნდი).

**კალათბურთი.** საფრანგეთის ჩემპიონატს ერთბაშად ორი გუნდი – „ლიმოჟი" და „ვილერბანი" ლიდერობენ. მათ ჯერ არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ. ორხელისუფლებიანობაა ესპანეთის ჩემპიონატშიც. 6-6 გამარჯვებით დაწინაურდნენ „ბარსელონა" და „რეალი".

**თანამედროვე ხუთჭიდი.** სტელენბოშში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) მსოფლიოს თასის ბოლო ეტაპი მოიგო უნგრელმა ადამს მადარეშმა – 5706 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა რუსი დმიტრი სვატკოვსკი (5671), რომელიც საბოლოო ჯამში მსოფლიო თასს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ იგი ზედიზედ მეორედ იმარჯვებს ამ პრესტიჟულ ტურნირში.

**მძლეოსნობა.** „როსნი-სუ-ბუას 10 მილი". ერთ-ერთი პოპულარული შეჯიბრებაა საფრანგეთში. წლეულს ვაჟთა შორის გამარჯვება ახმედ სალახმა (ჯიბუტი) მოიპოვა – 47.13. ქალებში უძლიერესი იყო საფრანგეთის წარმომადგენელი ირინა კაზაკოვა (57.46), რომელმაც ერთი კვირით ადრე, ასევე ტრადიციული, პარიზ – ვერსალი გარბენი მოიგო.

**წყალქვეშა ცურვა.** 29 წლის კუბელმა დებორა ანდოლომ სარდინიის ნაპირებთან ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ყვინთვაში. მისი შედეგი – 62 მეტრი, 4 სანტიმეტრით უმჯობესია იტალიელი რუსანა მაიორკას ძველ რეკორდზე.

**სამთო თხილამურები.** ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, მსოფლიო თასის მფლობელმა, 29 წლის იტალიელმა ალბერტო ტომბამ ამ დღეებში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ კიდევ ერთი წლით აგრძელებს თავის სპორტულ კარიერას.

**უბედური** შემთხვევა მოხდა ცილარტალ-ტიროლის (ავსტრია) ავტოსტრადაზე. ავტობუსთან შეჯახების შედეგად დაიღუპა 28 წლის ავსტრიელი სამთომოთხილამურე რიხარდ კრელი. ამ მოთხილამურეს, რომელსაც დარჩა მეუღლე და გოგონა, ორჯერ აქვს მოგებული მსოფლიო თასის ეტაპები გიგანტურ და სუპერგიგანტურ სლალომში.

**ჩოგბურთი.** საერთაშორისო ფედერაციის შტაბსადგომში გაიმართა 1997 წლის დევისის თასის გათამაშების კენჭისყრა მსოფლიო ჯგუფის გუნდებისათვის. ტურნირის მონაწილენი დაწყვილდნენ ასე: ბრაზილია – აშშ, რუმინეთი – პოლანდია, ავსტრალია – საფრანგეთი, ჩეხეთი – ინდოეთი, იტალია – მექსიკა, ესპანეთი – გერმანია, სამხრეთ აფრიკა – რუსეთი, შვეცია – შვეიცარია. პირველი წრის მატჩები გაიმართება 7-9 თებერვალს.

**კრივი.** 27 წლის ამერიკელმა როი ჯონსმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა 76,2 კგ-ში იბფს ვერსიით, 2 წუთსა და 23 წამში მსაჯმა შეწყვიტა მისი ბრძოლა ბრაიანტ ბრენონთან (აშშ). ასევე შეინარჩნა ჩემპიონის ტიტული 66,7 კგ-ში, ოღონდ ვბა-ს ვერსიით აიკ კუარტიმ (განა) ობუ კართან (კუბა) შეხვედრში.

# თებერვლის ტრაგედია მიუნხენში

## «მანჩესტერ იუნაიტედი» (ინგლისი).

**ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული კლუბი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. შეიქმნა 1885 წელს „ნიუტონ ჰიზის" სახელით. ახლანდელი სახელწოდება მიიღო 1902 წელს. კლუბის სტადიონია „ოლდ ტრაფორდი". მრავალგზის იყო ინგლისის ჩემპიონი და თასის მფლობელი. უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს ევროტურნირებში. კლუბის ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა შოტლანდიელმა მწვრთნელმა მეტ ბასბიმ. რომელიც გუნდის მენეჯერი იყო 1945-71 წლებში. ბასბიმ აღზარდა ბევრი სახელოვანი ფეხბურთელი. მათ შორის ბირნი. ედვარდსი. ტეილორი. პეგი. კოულმენი და სხვ. 1958 წელს ისინი დაიღუპნენ ავიაკატასტროფაში მიუნხენთან. აი. სწორედ ამ ტრაგიკული ისტორიის შესახებ გვექნება საუბარი ქვემოთ.**

50-იანი წლებიდან ინგლისი საკმაოდ ინტენსიურ საფეხბურთო ცხოვრებას ეწეოდა როგორც ეროვნული ნაკრების, ისე კლუბების დონეზე. მაგრამ უნგრეთის ნაკრებთან ორი მწარე მარცხის შემდეგ ბრიტანეთში დარწმუნდნენ, რომ ინგლისური ფეხბურთის ბატონობას კონტინენტზე სერიოზული ბზარი გაუჩნდა.

დაახლოებით ამ პერიოდში საფუძველი ეყრება საინტერესო საკლუბო ტურნირს — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს. მაგრამ ტრადიციულად კონსერვატულმა ინგლისმა, თავის ჩემპიონს — „ჩელსის" კატეგორიულად აუკრძალა ამ ტურნირში მონაწილეობა მანამ, სანამ არ გაირკვეოდა მისი რაობა და ვარგისიანობა.

1956 წელს ქვეყნის ჩემპიონი გახდა „მანჩესტერ იუნაიტედი", რომელსაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მითითების თანახმად უნდა გაეგრძელებინა ბოიკოტის პოლიტიკა ევროპის ჩემპიონთა თასისადმი. მაგრამ გუნდის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ და პირადად მეტ ბასბიმ არ გაიზიარა ინგლისური ფეხბურთის ხელოვნური იზოლაციის პოლიტიკა. მით უმეტეს, რომ მანჩესტერელთა ახალგაზრდულ, მზარდ კოლექტივს თვითდამკვიდრებისთვის სწორედ ასეთ ასპარეზობაში მონაწილეობა სჭირდებოდა.

კამათი აღნიშნულ საკითხზე მიდიოდა დიდხანს და უკომპრომისოდ, მაგრამ ბასბიმ დაუმტკიცა ბრიტანული ფეხბურთის თავკაცებს, — ისინი ცდებოდნენ, რომ ინგლისის სპორტული ავტორიტეტის გადარჩენა მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი და რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" სწორედ ის გუნდი გახლდათ, რომელიც შემოაბრუნებდა საფეხბურთო ევროპას ბრიტანეთისაკენ. ბასბი ბუნებით გაუტეხავი ოპტიმისტი იყო და სჯეროდა, რომ მისი „ახალგაზრდა ბიჭები" ადრე თუ გვიან უსათუოდ მიაღწევდნენ მიზანს.

მანჩესტერელთა მენეჯერს ფეხბურთელებთან მუშაობის ორიგინალური მეთოდი ჰქონდა, რასაც მაშინდელ მწვრთნელთა უმრავლესობა, უბრალოდ, რომ ვთქვათ, არ იყო შეჩვეული და ამიტომ არც იზიარებდა. კარგი ბიჭები, — ამბობდა იგი, — ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნამდვილ პროფესიონალებს. მე ათასობით ახალგაზრდა ფეხბურთელს ვამოწმებ, მაგრამ გუნდს არც ერთი არ ადგება. თავს კმაყოფილად ვთვლი მხოლოდ მაშინ, თუ ათასიდან ერთი მაინც გამიმართლებს. თუ არადა, მშვიდად ვიწყებ მეორე ათასეულის გასინჯვას!

ბასბი მთელი ცხოვრების მანძილზე დასდევდა ახალგაზრდა ფეხბურთელებს და დაწყნარდა მხოლოდ მაშინ, როცა თერთმეტი სასურველი ახალგაზრდა იპოვნა. 50-იან წლებში ბასბის ბიჭებმა ხუთჯერ მოიგეს ინგლისის იუნიორთა თასი, მერე მოზრდილებშიც საკმაოდ „ბასრი კლანჭები" გამოავლინეს. ასე, თანდათანობით გახდა ბასბისეული „მანჩესტერი" უმაღლესი დივიზიონის მონაწილე.

1956 წელს „ახალმა ტალღამ" გუნდში ახალი ტიპის ახლებურად მოაზროვნე ფეხბურთელები მოიყვანა — ბირნი და ჩარლტონი, კოულმენი და ბლენჩფლაუერი, ჯონსი და ვაიოლეტი, პეგი და ბოლოს. დუნკან ედვარდსი — ბრწყინვალე ნახევარმცველი, რომელიც 17 წლისა უკვე ნაკრებში თამაშობდა.

ბობი ჩარლტონი

ევროპის ჩემპიონთა თასის პირველსავე მატჩებში „ახალმა ტალღამ" წალეკა „ანდერლეხტი", დორტმუნდის „ბორუსია", ბილბაოს „ათლეტიკო". ნახევარფინალში ახალგაზრდებმა თავის თავზე გამოსცადეს ლეგენდარული „რეალის" ძალა, მაგრამ ეს მაინც სასარგებლო გაკვეთილი იყო.

მომდევნო სეზონს „მანჩესტერი" კვლავ წარმატებით იწყებს: ორი გამარჯვება ირლანდიის „შემროკ როვერსთან", ორი ცდის ჯამში წარმატება პრაღის „დუკლასთან". მერე საკმაოდ ძნელი ბრძოლა „ოლდ ტრაფორდზე" ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან" და გამარჯვება მინიმალური სხვაობით —2-1.

იუგოსლავიელები, რომლებსაც რამდენიმე უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ჰყავდათ შემადგენლობაში (ბეარა, დურკოვიჩი, შეკულარაცი) დიდ იმედებს ამყარებდნენ განმეორებით შეხვედრაზე. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. 3-3-მა მწვანე გზა გაუხსნა გათამაშების მომდევნო ეტაპისაკენ „მანჩესტერს" (ორი გოლი ამ შეხვედრაში ბობი ჩარლტონმა გაიტანა), თანაც ინგლისელები თამაშს 3-1-ს იგებდნენ. „მანჩესტერ იუნაიტედი" გათამაშების ნახევარფინალში გავიდა...

მეორე დღე, 1958 წლის 6 თებერვალი. „მანჩესტერი" მიუნხენშია. თვითმფრინავი თოვლით დაფარულ რიიმის აეროპორტში ჯდება მხოლოდ იმისთვის, რომ შეივსოს საწვავის მარაგი და განაგრძოს გზა ბრიტანეთისკენ. ასაფრენ ზოლს თოვლის სქელი ფიფქები ეცემა...

მოგვიანებით ბობი ჩარტონი იტყვის: „6 თებერვლის ხუთშაბათი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ჯოჯოხეთური დღე იყო".

მეტ ბასბი

მაგრამ ჯერ უბედურებაზე, ცხადია, არავინ ფიქრობდა და მგზავრებიც საკუთარი საქმით იყვნენ გართულნი. ფეხბურთელები და ჟურნალისტები გუშინდელი ბრძოლის დეტალებზე მსჯელობდნენ, მომავალი მეტოქეთა შანსებს აფასებდნენ.

„ელიზაბეტ — 609" მოტორების ნელი გუგუნით ასაფრენი ზოლისაკენ მიმავალ გზას გაუყვა და როცა მთავარ მაგისტრალზე გავიდა, წამით შეჩერდა. ხომალდის კაპიტანმა ჯეიმს ტაინერმა ერთხელ კიდევ შეამოწმა ხელსაწყოს ჩვენებები. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ ორკილომეტრიანი ზოლის შუაწელში ხომალდის მეთაურმა გაზს უკლო და მანქანა უკან მოაბრუნა. ზუსტად იგივე სურათი განმეორდა მეორე ცდაზეც. მეთაურს რაღაც უხილავი ხმა უკრძალავდა აფრენას. არადა, თითქოს ყველა ხელსაწყო ნორმალურად მუშაობდა.

— ძრავაში უმნიშვნელო უწესრიგობაა, დაამშვიდა მგზავრები სიმპათიური გარეგნობის სტიუარდესამ. უკან დაბრუნებულ თვითმფრინავთან სხვებზე უფრო ადრე ინჟინერ-მოტორისტი მიიჭრა. ხომალდის მეთაურმა მოახსენა შეყოვნების მიზეზი: მარჯვენა ძრავაში უჩვეულო გუგუნის ხმა ხან მკაფიოდ ისმის, ხან კი ყრუდო. სახელდახელო რემონტს 15 წუთზე ნაკლები დასჭირდა. „ელიზაბეტ — 609" -მ აფრენის უფლება მესამედ მიიღო.

15 საათი, 3 წუთი და 6 წამი. თვითმფრინავი მესამედ მოსწყდა სტარტს. მთავარი პილოტის სავარძელში ჩაჯდა კაპიტნის მოადგილე რეიმენტი. ხომალდის მეთაური ხელსაწყოებს დაადგა თავს.

თვითმფრინავმა აიღო სისწრაფე. სპიდომეტრი უკვე 215 კილომეტრს აჩვენებდა, როცა ჯეიმს ტაინერმა მარჯვენა მხარეს ნაცნობი გუგუნის ხმა გაიგონა. სპიდომეტრის ისარმა ნელ-ნელა ქვემოთ იწყო დაშვება და როცა მან 195 კილომტერის ნიშნულს მიაღწია, ასაფრენი ზოლიც დამთავრდა...

კაპიტანი მთელი ძალით აწვებოდა გაზის სახელურს, მაგრამ ამაოდ — სისწრაფე უფრო და უფრო ეცემოდა. მართვა უკვე შეუძლებელი გახდა. ვეებერთელა თვითმფრინავი 195 კილომეტრის სისწრაფით მიჰქროდა ხნულში და რაც კიდევ უფრო საშიში იყო, გეზი ჰქონდა აღებული შენობისაკენ, რომელიც იქვე 200 მეტრში მდებარეობდა.

ასე დაიწყო ფათერაკები: მანქანამ ჯერ მარჯვენა გვერდი წაკრა სარემონტო სახელოსნოს ხის კედელს და ცალი ფრთა დაკარგა. დარტყმის შედეგად კუდის ნაწილმა მწვავე დეფორმაცია განიცადა. კორპუსში გაჩნდა დიდი ფულურო. მერე მანქანა გადაბრუნდა და... ცეცხლიც წაეკიდა.

ბობი ჩარლტონი სასწაულით გადარჩა. პირველი შეჯახებისას ფულუროდან გარეთ გავარდა. იფრინა დაახლოებით 50 მეტრი და მინდორში, შედარებით რბილად დაეცა ფხვიერ მიწაზე. როგორც კი გონს მოვიდა, კვნესის ხმა შემოესმა. ვილაც ამაოდ ცდილობდა ნანგრევებიდან ამოსვლას. ეს იყო ფულკესი — „მანჩესტერის" მარჯვენა მცველი.

— ფრთხილად, დაუძახა ბობის, მე არაფერი მიშავს, აქ ჩემზე უფრო გაჭირვებულებიც არიან.

ფულკესმა და ჩარლტონმა მოიკრიბეს ძალა და ნანგრევებიდან გონდაკარგული ადამიანი გამოიყვანეს. ეს მეტ ბასბი იყო.

მეორე დღეს მსოფლიოს ყველა გაზეთმა დაბეჭდა ცნობა ამ საშინელი ტრაგედიის შესახებ. გაზეთები მომდევნო დღეებშიც ბევრს წერდნენ „ტრაგიკულ გუნდსა" და მის მწვრთნელზე, რომელიც მიუნხენის საუკეთესო კლინიკაში სიკვდილს ებრძოდა... გამოცხადდა დალუპულთა გვარები. გრეგი ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა, პილოტები კი აფეთქების ტალღამ მინდორში გაისროლა. არც მათ დამართვიათ სერიოზული არაფერი, თუმცა ნერვიულ შოკს საკმაოდ დიდხანს მკურნალობდნენ. „მანჩესტერ იუნიატედს" მთელი მსოფლიო თანაუგრძნობდა.

ამ საშინელი კატასტროფის შედეგად დაიღუპნენ: გუნდის კაპიტანი როჯერ ბირნი, ტომი ტეილორი, ედი კოულმენი, მარკ ჯონსი, დევიდ პეგი, ჯეფ ბენეტი, ლიამ ვეპანი, კლუბის მდივანი უოლტერ კრიკნერი, მწვრთნელები ტონი კარი და ბერტ ფილპეი, ჟურნალისტები ფრენკ სვიფტი (ინგლისის ნაკრების ყოფილი მეკარე), ელფ კლარკი, დონ დევისი, ჯორჯ ფელოუსი, ტომ ჯექსონი, არჩი დელბრუკი, ჰენრი როზე, ერიკ ტომპსონი...

მეტ ბასბი, დუნკან ედვარდსი, ჯონ ბარი და „ტოტენჰემ ჰოტსპურის" კაპიტნის ძმა ჯეკი ბლენჩფლაუერი მძიმედ დაშავებული მიუნხენის კლინიკაში დააწვინეს. ფაქტობრივად, არაფერი მსოვლიათ, ცხადია, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ ბ. ჩარლტონს, რ. ვუდსს, დ. ვიოლეტს, გ. გრეგს, კ. მორგანს, ბ. ფულკესსა და ა. სკენლონს.

კატასტროფიდან მეთოთხმეტე დღეს მიუნხენის კლინიკაში, ისე რომ გონს არც მოსულა, გარდაიცვალა დუნკან ედვარდსი, ინგლისური ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავი, რომელიც 21 წლის არც კი იყო. ბასბის მდგომარეობა დიდხანს უნუგეშო სჩანდა. მას ჩანგრეული ჰქონდა გულმკერდი და ფილტვები — მძიმედ დაზიანებული. მაგრამ მდგომარეობიდან გამოძვრა და 72-დღიანი ბრძოლის შემდეგ შინ დაბრუნდა გამოჯანმრთელებული.

ჯონ ბარი და ჯეკ ბლენჩფლაუერი კიდევ დიდხანს იყვნენ ექიმების კონტროლის ქვეშ, ბოლოს გამომჯობინდნენ კიდეც, მაგრამ ფეხბურთის თამაში, ცხადია, აღარ შეეძლოთ.

დალუპულ მანჩესტერელთა პატივსაცემად „ოლდ ტრაფორდზე" მემორიალური დაფაა. იქ ამ საშინელი კატასტროფის ყველა მსხვერპლის გვარია აღნიშნული. მემორიალურ დაფას მუდამ, წელიწადის ნებისმიერ დროს, ცოცხალი ყვავილების თაიგულები ამკობენ.

დრომ, ცხადია, გაანელა ტკივილები. ფეხბურთის მოყვარულებსაც მეტნაკლებად მიავიწყდათ მიუნხენის ტრაგედიის დეტალები, მაგრამ ყავარჯნებიან ჯეკ ბლენჩფლაუერს და მის უკვე თმაშევერცხლილ თანაგუნდელებს, განსაკუთრებული რეკლამა ალბათ აღარც სჭირდებათ.

*ნოდარ გუგუშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბოლომდე ქუთაისელად დარჩა

# ბომბარდირი რიონის ნაპირიდან

წლეულს გაზაფხულზე გაზეთმა „ლელომ" თავის ფურცლებზე დასტამბა აწ გარდაცვლილი ბიჭიკო ჭორჭას ფრიად საინტერესო წერილი ქართველ ფეხბურთელთა ოჯახურ დინასტიებზე, სადაც მკითხველი ინტერესით გაეცნო ჩვენი ფეხბურთის მრავალ ოჯახურ დინასტიას. ამჯერად არჩევანი მინდა შევაჩერო ქუთაისური ფეხბურთის ყველაზე კოლორიტულ წარმომადგენელზე — ხერხაძეთა ოჯახზე — ოჯახზე, სადაც უფროსი ნოე ხერხაძე 40-50-იან წლებში ქუთაისის „დინამოს" კაპიტანი იყო (სამწუხაროდ, იგი შარშან გარდაიცვალა) — შემდგომ მისი შვილი ჯემალი მამის კვალს გაჰყვა და ქართული ანდაზისა არ იყოს — „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო..." დღეს კი ჯემალ ხერხაძის ვაჟი ნოე აგრძელებს მამა-პაპის გაკვალულ გზას...

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ქართველ ფეხბურთის მიმომხილველ „პატრიარქის" ბიჭიკო ჭორჭიას ხსენებულ წერილს — აი, რას წერს იგი — „ნოე ხერხაძე ცნობილი ქუთაისელი ცენტრფორვარდი გახლდათ. იგი თბილისის „დინამოშიც" მიიწვიეს ომისწინა წლებში,' მისი შვილი ჯემალი კი ქუთაისის „ტორპედოს" ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი, წამყვანი თავდამსხმელი იყო საკმაოდ დიდხანს".

ფეხბურთი რომ ქუთაისში თავდავიწყებამდე უყვარდათ, ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ ქალაქს ყოველთვის კარგი გუნდი ჰყავდა და თანაც საკუთარი ძალებით, ძველი გვარდიის ქუთაისის „დინამოელთა" ნებისმიერ მატჩზე კალენდარული იყო იგი თუ ამხანაგური, ტევა არ იყო. ასევე სპორტულ ზეიმად იქცეოდა ხოლმე იმდროინდელი ქუთაისის „დინამოს" სტუმრობა საქართველოს ნებისმიერ რაიონსა თუ ქალაქში. ფეხბურთის ძველისძველ გულშემატკივრებს დღესაც ახსოვთ ანდრო ჟორდანიას „ლეგენდარული" თბილისის „სპარტაკი", რომელმაც 1949 წლის საფეხბურთო სეზონი სსრ კავშირის „ბ" კლასის ოსტატ ფეხბურთელთა ასპარეზობა ისე ჩაატარა, მარცხი არ განუცდია — უმაღლესი ლიგის საგზურიც მოიპოვა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა ქუთაისში ადგილობრივ „დინამოსთან" 2-3. ქუთაისის „დინამოს" ღირსებას იმ დროს იცავდნენ გუნდის თავი ნოე ხერხაძე, მეკარე ჭელიძე, ფეხბურთელები ვაჩაძე, რუსაძე, მესხი, გერაძე, იობიძე, ნინუა, ბაზაძე, ჯავახაძე და სხვები. მას შემდეგ, რაც ქუთაისში გიგანტური საავტომობილო ქარხანა გაიხსნა, ქუთაისის „დინამომ" ესტაფეტა „ტორპედოს" გადაულოცა, რომლის სახელი მოკლე ხანში გასცდა საქართველოს ფარგლებს. ქუთაისის „ტორპედოს" მატჩებს უამრავი მაყურებელი ჰყავდა სსრ კავშირის თითქმის ყველა ქალაქში, სადაც კი მას უხდებოდა გამოსვლა... სწორედ ამ დროიდან გამოჩნდნენ როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე ტყავის ბურთის უბადლო ოსტატები: რამაზ ურუშაძე, ილია დათუნაშვილი, ლევან ჟორდანია, სერგო კუტივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გურამ ცხოვრებოვი, თამაზ კოსტავა, რამაზ . შენგელია, თენგიზ სულაქველიძე, გივი ნოდია და, რა თქმა უნდა, ჯემალ ხერხაძე, რომელსაც, სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული ქუთაისის „დინამოსა" და, შესაბამისად, მამის თამაში არ ახსოვს.

ჯემალ ხერხაძე პირველად 1962 წლის ივლისში ვიხილე ქუთაისის „ტორპედოს" დუბლშემადგენლობაში, როდესაც ქართველ ფეხბურთელებს გასვლითი მატჩი ჰქონდათ მოსკოვში ადგილობრივ „ტორპედოსთან". მაშინ ჯემალ ხერხაძე 17 წლის ყმაწვილი, სერგო კუტივაძესთან ერთად იცავდა ქუთაისელ ავტოქარხნელთა სათადარიგო შემადგენლობის ღირსებას. ეს მატჩი მოსკოვის ოლქის ქალაქ რომენსკოეს მწვანეში ჩაფლულ „ტრუდის" სტადიონზე გაიმართა, სადაც სამხრეთელთა შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ — ნახევარდაცვაში სერგო კუტივაძე და თავდასხმის ხაზში ჯემალ ხერხაძე. რომენსკოე საფეხბურთო ქალაქია. ამ სტადიონზე თავმოყრილმა უამრავმა მაყურებელმა ოვაცია მოუწყო ორივე ახალბედას, რაც საწინდარი გახდა იმისა, რომ მომავალ, 1963 წლის საფეხბურთო სეზონში, ერთმაც და მეორემაც „ტორპედოს" ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი. მეორე დღეს კი ქუთაისის „ტორპედოს" დებიუტი შედგა თავიანთ მოსკოველ თანაკლუბელებთან — თითქმის გაჭედილ სტადიონზე ლუჟნიკში. მოსკოვის „ტორპედოს" ღირსებას ამ დროისათვის იცავდნენ — გლუხოტკო, მედაკინი, შუსტიკოვი, მეტრეველი, ვალენტინ ივანოვი, ვორონინი, ბატანოვი, არბუტოვი, ფალინი, აფანასიევი და სხვები.

ზემოაღნიშნული მატჩი ძალზე დრამატულად წარიმართა და დამთავრდა მოსკოვის „ტორპედოს" გამარჯვებით ანგარიშით 6-3. ქუთაისელთაგან ორი ბურთი ჯუმბერ ხაჟალიამ გაიტანა, ერთი კი გივი მუმლაძემ. აი, რას წერდა ამ მატჩისათვის გამოშვებულ საფეხბურთო პროგრამაში ლუჟნიკების პრეს-ბიურო. — „რაც არ უნდა მოკლე იყოს ახალბედა ქართული საფეხბურთო კლუბის ბიოგრაფია — იგი საკმაოდ შთამბეჭდავია, ადვილი როდია, იბრძოლოს დებიუტანტმა იმათ მხარდამხარ, ვინც შეეჩვია ოქროს მედლებისათვის ბრძოლას. ამ მხრივ ქუთაისელი ფეხბურთელები იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენენ, რადგან არ იმყოფებიან გათამაშების აუტსაიდერთა შორის. ქუთაისის „ტორპედომ" უმაღლეს ლიგაში გამოსვლის პირველსავე დღიდანვე (ამ დღეს 1962 წლის ორ მაისს ქუთაისის „ტორპედომ" მძაფრ სპორტულ პაექრობაში დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო" — 4-2) მიიპყრო ყურადღება, როგორც საკუთარი ხელწერის გუნდმა, რომელსაც ძალა შესწევს შეერკინოს ნებისმიერ ოსტატთა გუნდს, როგორი ტიტულიც არ უნდა აფერადებდეს მას". შემდგომში ქუთაისის „ტორპედომ" უმაღლეს ლიგაში გამოსვლის მთელ პერიოდში შეძლო მისი ყველა მონაწილის დამარცხება და ყველა ამ გამარჯვებათა საქმეში ლომის წილი ჯემალ ხერხაძეს მიუძღვის. თუ ტრავმებს არ მივიღებთ მხედველობაში, ჯემალს თამაში არც უმაღლეს და არც პირველ ლიგაში არ გაუცდენია. ჯემალ ხერხაძე ძალზე თვითმყოფადი ფეხბურთელი იყო. მას გააჩნდა საკუთარი ხელწერა, ტექნიკურადაც საუცხოოდ იყო მომზადებული და ამ მხრივ იგი მოსკოვის „სპარტაკის" და სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს სერგეი სალნიკოვს ჩამოგავდა. ეს გახლდათ პერიოდი, როდესაც მსოფლიო საფეხბურთო სამყარო გარემარბთა მოზღვავებას განიცდიდა — რომ არაფერი ვთქვათ მესხსა და მეტრეველზე, მსოფლიოს ნებისმიერი კონტინენტის დაცვის ხაზს შიშის ზარს სცემდნენ ბრაზილიელები ზაგალო და გარინჩა, შვედი კურტ ჰამრინი, ფრანგი რაიმონ კოპა, უნგრელი ფერენც პუშკაში, ესპანელი ფრანცისკო ჰექტორ ჰენტო და სხვ. ჯემალ ხერხაძეს არაერთი მატჩი აქვს მოსაგონარი, რომელიც მისი აქტიური მონაწილეობით სამუდამოდ შევიდა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. გავიხსენოთ მატჩი ქუთაისში მოსკოვის „დინამოსთან" 1964 წლის საფეხბურთო სეზონში. მოსკოვის „დინამოს" კარს ლეგენდარული ლევ იაშინი იცავდა. 1963 წლის საფეხბურთო შედეგებით იაშინი „ფრანს ფუტბოლის" ლაურეატი გახდა და „ოქროს ბურთი" დაისაკუთრა. ამ მატჩისადმი მიძღვნილ ქუთაისის ცენტრალური სტადიონის მიერ გამოშვებულ საფეხბურთო პროგრამას ლევ იაშინის სურათი ამშვენებდა ცალ ხელში მაღლა აწეული „ოქროს ბურთით". ამ მატჩის წინ გუნდი ანდრო ჟორდანიამ ჩაიბარა და ქუთაისელმა ფეხბურთელებმა შეუძლებელი შეძლეს — ახალბედა ალბერტ ავალიანის მიერ გატანილი ბურთის წყალობით დაამარცხეს მრისხანე მოწინააღმდეგე 1-0. იაშინი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა მცველებს გლოტოვსა და მუდრიკს — „დერჟიტე ხერხაძე!.. დერჟიტე ხერხაძე!..." ანდა, 1965 წლის საფეხბურთო სეზონის ერთ-ერთი ბოლო მატჩი ქუთაისში კიევის „დინამოსთან", რომელიც ასევე ქუთაისელ ფეხბურთელთა ბრწყინვალე გამარჯვებით 1-0 დამთავრდა. (ამ წაგებამ კიევის „დინამოს" ოქროს მედლები დააკარგვინა). ამჯერადაც მატჩის გმირი ჯემალ ხერხაძე იყო, რომელსაც ვერაფერი მოუხერხა კიევის „დინამოს" განთქმულმა დაცვამ. ზემოაღნიშნულ მატჩებში, ისე როგორც სხვა შეხვედრებში, ქუთაისის „ტორპედოს" სხვა ხაზზე „დირიჟორის როლში" მოევლინა ახალგაზრდა სერგო კუტივაძე, რომელიც ქუთაისელ ფეხბურთელთა თითქმის ყველა შეტევის სულისჩამდგმელი და წამომწყები იყო. ამ დროს, ცხადია, თბილისის „დინამოს" მისკენ ეჭირა თვალი და სულ მალე წაიყვანეს კიდეც. თბილისის „დინამო" ამ დროს „ვარსკვლავთა" მოზღვავებას განიცდიდა და, ნებით თუ უნებლიეთ, სერგო კუტივაძის თამაში, თანდათან გაფერმკრთალდა, მერე კი ფეხბურთელმა სათადარიგოთა სკამზე დაასრულა კარიერა. აი, რას იგონებს ამის შესახებ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გიორგი სიჭინავა: — „კუტივაძე ჩვენთან რომ მოვიდა, ნამდვილი „ვარსკვლავი" იყო, სამწუხაროდ, ცოდვა გამხელილი სჯობს — პარტნიორები მას პასს არ აძლევდნენ და ასე, თანდათან დაიფერფლა მისი ტალანტი..."

ჯემალ ხერხაძემ, სერგო კუტივაძისაგან განსხვავებით, უარი თქვა გადასულიყო თბილისის „დინამოში". თუმცა, ოლიმპიურ ნაკრებში მიწვევით, თუ სხვა „ტრიუკებით" ცდილობდნენ მის გადაბირებას. ჯემალ ხერხაძე ქების ღირსია იმიტომაც, რომ იგი ბოლომდე ქუთაისელად დარჩა — მას ახასიათებდა უბრწყინვალესი სპორტული და ადამიანური თვისება — ერთგულება.

ჯემალ ხერხაძეს მრავალ სათასო და საერთაშორისო შეხვედრებშიც მიუღია მონაწილეობა — იგი დროდადრო საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ეგიდით მოასპარეზე გუნდშიაც ყოფილა არაერთხელ მიწვეული. თუ ყველა ამ მატჩებს შევკრებთ, როგორც უმაღლეს, ისე პირველ ლიგაში, მათი რიცხვი ალბათ სამასს გადააჭარბებს, ხოლო გატანილი ბურთების რაოდენობა 100-ზე მეტი იქნება. 1969 წლის საფეხბურთო სეზონში ჯემალ ხერხაძემ, მოსკოვის სპარტაკელ ნიკოლაი ოსიანინთან და როსტოვის არმიელ ვალერი პროსკურინთან ერთად საუკეთესო ბომბარდირის პრიზი დაიმსახურა. სამივე ფეხბურთელმა 16-16 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, — პრიზი, ცხადია, სამივე ფეხბურთელს გადაეცა.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ჯემალ ხერხაძე არ წასულა ქუთაისის „ტორპედოდან". სხვადასხვა დროს იგი იყო „ტორპედოს" მეორე მწვრთნელი, ხოლო გასულ, მეშვიდე ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში უფროსი მწვრთნელი. ნახევარსაუკუნეს გადაცილებული ჯემალ ხერხაძე ძალლონეს არ იშურებს, რათა თავისი მდიდარი გამოცდილება ახალგაზრდობას გადასცეს, — სხვა გზა და გამოსავალი დღეს, უბრალოდ, არ არის. როგორც ამას წინათ გაზეთი „ლელო" წერდა, განგაშის ზარმა ქუთაისშიც ჩამოჰკრა — „ტორპედოს" ძალიან გაუჭირდება ამ ჩემპიონატში — წერს „ლელოს" კორესპონდენტი იუზა კაციტაძე, კიდევ უფრო შორს წავიდა ჩვენი საპატიო სტუმარი იტალიის პროფკავშირების წარმომადგენელი მიმე რუფატი — „თქვენებმა თამაში არ იციანო" — წარმოიდგინეთ ტყუილად როდია ნათქვამი ხალხურ სიბრძნეში — „სიბერემდე სიქაჩლეს მოელოდეო!"

*დემურ ტორაძე*

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## მეორე ჯგუფი გაიმართა IX ტურის მატჩები

### აღმოსავლეთი ზონა

პერეთი – მესხეთი 3-0, ცხინვალი – თორი 3-2, შევარდენი-2 – დინამო-2 1-4, მსს აკადემია – ლოკომოტივი 1-2, მრეტები – კოდაკო 0-1, მირაჟი – ჟინერი 2-1, იბერია – ავაზა 1-0, სამგორი – დურუჯი 0-0, ასკ – არმაზი 2-4.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი (თბილისი) | 9 | 7 | 2 | 0 | 18-3 | 23 |
| არმაზი (მცხეთა) | 9 | 6 | 0 | 3 | 21-17 | 18 |
| მორკინალი (თბილისი) | 8 | 5 | 2 | 1 | 16-3 | 17 |
| ასკ (თბილისი) | 9 | 5 | 1 | 3 | 19-16 | 16 |
| მსს აკადემია (თბილისი) | 9 | 5 | 0 | 4 | 24-13 | 15 |
| ცხინვალი | 9 | 5 | 0 | 4 | 15-11 | 15 |
| დინამო-2 (თბილისი) | 8 | 4 | 2 | 2 | 20-11 | 14 |
| სამგორი (გარდაბანი) | 9 | 4 | 2 | 3 | 15-15 | 14 |
| კოდაკო (თბილისი) | 7 | 4 | 2 | 1 | 6-6 | 14 |
| იბერია (ქარელი) | 9 | 4 | 1 | 4 | 14-12 | 13 |
| მირაჟი (დედოფლისწყარო) | 8 | 4 | 2 | 2 | 11-11 | 13 |
| მრეტები (თბილისი) | 8 | 2 | 4 | 2 | 7-8 | 10 |
| შევარდენი-2 (თბილისი) | 9 | 3 | 1 | 5 | 10-17 | 10 |
| ჟინერი (ჟინვალი) | 7 | 3 | 0 | 4 | 14-15 | 9 |
| თორი (ბორჯომი) | 7 | 3 | 0 | 4 | 9-13 | 9 |
| 35-სტუ (თბილისი) | 7 | 2 | 2 | 3 | 16-12 | 8 |
| პერეთი (ლაგოდეხი) | 8 | 1 | 2 | 5 | 10-15 | 5 |
| დურუჯი (ყვარელი) | 8 | 1 | 1 | 6 | 5-24 | 4 |
| მესხეთი (ახალციხე) | 7 | 1 | 0 | 6 | 5-21 | 3 |
| ავაზა (თბილისი) | 7 | 0 | 0 | 7 | 5-17 | 0 |

### დასავლეთი ზონა

მამისონი – ოლიმპია 3-0, მერცხალი – კახაბერი 5-1, ოდიში-2 – ეგრისი 0-1, მეშახტე – სულორი 2-1, იმერეთი – მაღაროელი 1-0, კოლხეთი-2 – სალხინო 3-0, სქური – ტორპედო-2 1-1, საპოვნელა – ჩხერიმელა 2-0, სამეგრელო – ბათუმი-2 3-1.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი (ჭიათურა) | 9 | 8 | 0 | 1 | 32-8 | 24 |
| მეშახტე (ტყიბული) | 9 | 8 | 0 | 1 | 23-5 | 24 |
| მერცხალი (ოზურგეთი) | 9 | 6 | 1 | 2 | 26-9 | 19 |
| იმერეთი (ხონი) | 9 | 5 | 2 | 2 | 16-8 | 17 |
| კოლხეთი-2 (ფოთი) | 9 | 5 | 1 | 3 | 16-7 | 16 |
| სალხინო (მარტვილი) | 9 | 5 | 1 | 3 | 19-14 | 16 |
| ოლიმპია (ხონი) | 9 | 5 | 1 | 3 | 14-14 | 16 |
| სქური (წალენჯიხა) | 9 | 3 | 3 | 3 | 10-11 | 12 |
| სულორი (ვანი) | 9 | 3 | 3 | 3 | 8-10 | 12 |
| მამისონი (ონი) | 9 | 3 | 2 | 4 | 24-21 | 11 |
| სამეგრელო (ჩხოროწყუ) | 9 | 3 | 2 | 4 | 13-16 | 11 |
| ეგრისი (სენაკი) | 9 | 3 | 1 | 5 | 12-19 | 10 |
| საპოვნელა (თერჯოლა) | 9 | 2 | 4 | 3 | 9-15 | 10 |
| ტორპედო-2 (ქუთაისი) | 9 | 2 | 8 | 4 | 10-18 | 9 |
| კახაბერი (ხელვაჩაური) | 9 | 2 | 1 | 6 | 9-28 | 7 |
| ბათუმი-2 | 9 | 1 | 2 | 6 | 5-19 | 5 |
| ოდიში-2 (ზუგდიდი) | 9 | 0 | 3 | 6 | 3-13 | 3 |
| ჩხერიმელა (ხარაგაული) | 9 | 1 | 2 | 6 | 6-19 | 0 |

მეორეჯგუფელებმა პირველი წრის ნახევარი განვლეს, ამიტომ, ვფიქრობთ, უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ გუნდების შესაძლებლობათა შესახებ.

**აღმოსავლეთ ზონას** უკვე ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი. ეს არის აღორძინებული თბილისის „ლოკომოტივის" გუნდი, რომელშიც, მართალია, არ თამაშობენ „ვარსკვლავები", მაგრამ საშუალო დონის ფეხბურთელებისაგან შეკრულია საკმაოდ მეგობრული კოლექტივი. ეს, პირველ რიგში, გუნდის მთავარი მწვრთნელის კობა ჟორჟიკაშვილისა და კლუბის პრეზიდენტის რობინზონ ქინქლაძის დამსახურებაა. სასიხარულოა, რომ „ლოკომოტივს" მხარში უდგას რკინიგზის სამმართველო მისი თავკაცის აკაკი ჩხაიძის მეთაურობით.

ლიდერს კვალში მიჰყვებიან მცხეთისა და ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდები, ვფიქრობთ, არც „კოდაკოს" უთქვამს ჯერ ბოლო სიტყვა. ამ გუნდში, შეგახსენებთ, თამაშობენ ცნობილი ფეხბურთელები, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ცენტრალური მცველები დავით ცომაია და გოჩა გუჯაბიძე.

ბოლო ტურებში შესამჩნევად გამოაკეთეს სატურნირო მდგომარეობა ყვარლელმა ფეხბურთელებმა (2 ტურში 4 ქულა მოიპოვეს). „დურუჯზე" სასიკეთოდ იმოქმედა რაიონში ახალი ხელმძღვანელობის დანიშვნამ – ძველი გამგებელი გუნდს არ ეხმარებოდა, ახალმა კი მისვლისთანავე თანადგომა აღუთქვა, სასიხარულოა, რომ განახლდა სამუშაოები ახალ სტადიონზე, რომლის გახსნა ნავარაუდებია „ილიაობის" დღესასწაულზე, 8 ნოემბერს.

ბოლო ტურში **დასავლეთი ზონის** ერთპიროვნულმა ლიდერმა ჭიათურის „მაღაროელმა" პირველი მარცხი იწვნია – სტუმრად, ხონელებთან. ამ გარემოებამ შესაძლებლობა მისცა ტყიბულელებს დასწეოდნენ ჭიათურელებს. როგორც ეტყობა, სწორედ ეს ორი კოლექტივი იბრძოლებს წლეულს პირველი ჯგუფის საგზურის მოსაპოვებლად. თუმცა, პოტენციურად არც „მერცხალი" ჩამოუვარდება მათ.

# მწვრთნელს ადანაშაულებენ მექრთამეობაში

საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა რუსულ ფეხბურთში ვალერი ოვჩინიკოვი. ახლა იგი უმაღლესი ლიგის კლუბ „ლოკომოტივის" (ნიჟნი ნოვგოროდი) მთავარი მწვრთნელია.

და აი, დაიწყო დიდი სკანდალი. ქალაქის პროკურატურამ ასეთ ცნობილ სპეციალისტს ბრალად დასდო მექრთამეობა. როგორც აღძრულ საქმეშია ნათქვამი, ოვჩინიკოვმა ქრთამი მისცა საგადასახადო ინსპექტორს.

როგორც პროკურორი ვლადიმირ შეველიოვი იუწყება, საქმე აღძრულია სამი პირის წინააღმდეგ. ესენი არიან: თვით ოვჩინიკოვი, „ლოკომოტივის" მთავარი ბუღალტერი ირაიდა ჩერეპკოვა და ყოფილი საგადასახადო ინსპექტორი ვლადიმირ გაიშუნი, გარდა ქრთამის მიცემისა, მთავარ მწვრთნელსა და ბუღალტერს ბრალდებათ სამსახურეობრივი თაღლითობა და გვარიანი თანხის მითვისება.

გამოძიებამ, როცა კლუბ „ლოკომოტივის" საქმეებს ამოწმებდა, დაადგინა შემდეგი: საგადასახადო ინსპექტორმა დაფარა იქ არსებული მრავალი ფინანსური დარღვევები და საამისოდ მთავარი მწვრთნელისაგან ქრთამად მიიღო 12 მილიონ 594 ათასი რუბლი. ეს საკმაოდ დაფარული ფორმით გაკეთდა, ოვჩინიკოვმა საფეხბურთო კლუბში სამუშაოდ მიიღო გაიშუნის საყვარელი, რომლის ხელფასსაც თვით საგადასახადო ინსპექტორი იღებდა.

როგორც ცნობილი გახდა, ოვჩინიკოვს სხვა დროსაც გამოუჩენია თავი უპატიოსნო საქციელითა და სკანდალებით. მას მეტსახელად ბორმანს ეძახიან.

როცა თვით ოვჩინიკოვს ჰკითხეს რა ამბები ტრიალებს მის თავს, მწვრთნელმა უპასუხა, ყოველივე ეს პროვოკატორების საქმეაო.

FRANCE 98
COUPE DU MONDE
© 1994 FSL TM

## არიგო საკი: „ქართველები ამ ჯგუფში ბევრს გაამწარებენ, თბილისში ქულათა მარაგით უნდა ჩავიდეთ“

([illegible] გვერდიდან)

ელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შეუშინდნენ მოვლენათა ასეთ განვითარებას, ცდილობდნენ ხანგრძლივად ბურთის „დაჭერას“ და ტემპის დაგდებას. მატჩის პირველი ნახევრის დამთავრებამდე 15 წუთი აკლდა, როდესაც ჩივაძემ ტაქტიკური შეცვლა გააკეთა — ერთადერთი თავდამსხმელის გოჩა გოგრიჭიანის ნაცვლად მოედანზე რეზო არველაძე გამოიყვანა, ამასთან, ქეცბაიამ წინ წაიწია გოგრიჭიანის ადგილზე. ამ ცვლილებამ და აგრეთვე მეორე ნახევარში ინალიშვილის მინდორზე გამოჩენამ სასიკეთოდ იმოქმედა ქართველთა თამაშზე — ისინი თანდათან იტალიელთა მოედნის ნახევარს გაუშინაურდნენ და რამდენიმე სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს: ქეცბაიას, ნემსაძეს (ორ-ორჯერ), გოგიჩაიშვილს შეეძლოთ ტოლდოს კარის დალაშქვრა, მაგრამ...

ის ერთადერთი ბურთი, რამაც მატჩის ბედი გადაწყვიტა, ჩვენებმა პირველი ტაიმის მიწურულს გაუშვეს: ძოლამ მარცხნიდან მაღალი ბურთი დაჰკიდა სტუმართა კართან, ბურთისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეებნენ შელია და რავანელი, თანაგუნდელის დასახმარებლად ზოიძეც გამოვარდა კარიდან (ეს იყო ჩვენი მეკარის ერთადერთი შეცდომა ამ მატჩში). საბოლოოდ, საჰაერო ბრძოლაში ყველას თმაჭაღარა იტალიელმა აჯობა და ბურთი თავური დარტყმით ბადეში გაახვია, 1-0.

მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე არიგო საკიმ მაღალი შეფასება მისცა ქართველების თამაშს: ისინი ამ ჯგუფში ბევრს გაამწარებენ, თბილისში ქულათა მარაგით უნდა ჩავიდეთო.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ის ნიშნები, რომელიც დაუწერა ფეხბურთელებს გაზეთმა „პაეზე სერამ“:

| იტალია | | საქართველო | |
|---|---|---|---|
| ტოლდო | — 7 | ზოიძე | — 5 |
| პესოტო | — 5 | ლობჟანიძე | — 5,5 |
| მალდინი | — 5 | ცხადაძე | — 5 |
| ნესტა | — 5,5 | შელია | — 6 |
| ფერარა | — 6 | კუდინოვი | — 6,5 |
| კარბონი | — ნ.გ. | ინალიშვილი | — 5 |
| ძოლა | — 6 | გოგიჩაიშვილი | — 6,5 |
| დი ლივიო | — , 5 | ნემსაძე | — 6 |
| კონტე | — 6,5 | კობიაშვილი | — 5,5 |
| დ. ბაჯო | — ნ.გ. | ქეცბაია | — 5 |
| კაზირაგი | — 5 | ჭინჭლაძე | — 7,5 |
| დი მატეო | — 5,5 | გოგრიჭიანი | — 5 |
| რავანელი | — 6,5 | რ. არველაძე | — 5 |

### II ჯგუფი

**ინგლისი – პოლონეთი 2-1**

*ინგლისი:* სიმენი, გ. ნევილი, პირსი, ინსი, საუთგეიტი (პალისტერი 51), ჰინჩკლიფი, ბეჭემი, გასკოინი, შირერი, ფერდინანდი, მაკმანამანი.

*პოლონეთი:* ვოზნიაკი, მიხალსკი, ვოიტალა, იუზვიაკი, ზელინსკი, ვალდოხი, ჰაიტო, ბალუშინსკი, ვარქიხა (საგანოვსკი), ნოვაკი, ციტკო.

*გოლები:* 0-1 ციტკო (7), 1-1 შირერი (25), 2-1 შირერი (38).

ინგლისელთა თავკაცმა გლენ ჰოდლმა ამჯერად შირერს შერინგემის ნაცვლად დამხმარედ ფერდინანდი გამოუყო. ამ ექსპერიმენტმა გაამართლა: გადამწყვეტი გოლი შირერმა სწორედ ფერდინანდის პასით გაიტანა.

სტუმრებმა ძლიერად დაიწყეს და პირველი 20 წუთი მათი უპირატესობით წარიმართა და აკი ციტკომ ანგარიშიც გახსნა. ინგლისელთა დაბნეულობამ ათი წუთი გასტანა. ამ პერიოდში ისინი ხშირად ცდებოდნენ. ერთხელ პირსმა საკუთარ კარში კინაღამ გაიტანა ბურთი. მაგრამ მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და შირერმა ანგარიში გაათანაბრა. შეცდა მეკარე ვოზნიაკი და ვერ შეწვდა მაღალ ბურთს, რითაც კარგად ისარგებლა იქვე დადარაჯებულმა შირერმა.

მატჩის მეორე ნახევარმა დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. მართალია, ორივე გუნდს ჰქონდა კარის აღების არაერთი შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

**შესარჩევი მატჩები გაიმართა სხვა ჯგუფებშიც.**

### I ჯგუფი

**ბოსნია – ხორვატია 1-4**

გოლები: 0-1 ბილიჩი (14), 1-1 სალიჰამიჩი (25), 1-2 ვლაოვიჩი, 1-3 ბოქშიჩი (63), 1-4 ბოქშიჩი (84).

მატჩი იტალიის ქალაქ ბოლონიაში გაიმართა.

**დანია – საბერძნეთი 2-1**

1-0 ცოგორაკისი (26) — საკ. კარში, 2-0 მ. ლაუდრუპი (51), 2-1 დონისი (56)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-2 | 6 |
| დანია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| ხორვატია | 1 | 1 | 0 | 0 | 4-1 | 3 |
| სლოვენია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| ბოსნია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

### III ჯგუფი

**ნორვეგია – უნგრეთი 3-0**

რეკდალი (83, 89, 90)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| აზერბაიჯანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-5 | 3 |
| ფინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |

### IV ჯგუფი

**შვედეთი – ავსტრია 0-1**

ჰერცოგი (12).

**ბელარუსი – ლატვია 1-1**

ზემლინსკი (16), მაკოვსკი (78)

**ესტონეთი – შოტლანდია 0-3**

შოტლანდიელთა მოთხოვნით (ცუდი ელექტროგანათების გამო) მატჩის კომისარმა დაადგინა შეხვედრა დღისით გამართულიყო, მაგრამ ესტონელებმა იუარეს — ბილეთები უკვე გაყიდულია და ხალხის გაფრთხილებას ველარ მოვასწრებთო. მათ უარი თქვეს თამაშზე. დებულების თანახმად მასპინძლებს წაგება ჩაეთვლათ 0-3. ალბათ, უეფაც სასტიკად დასჯის მათ. სანქციების შესახებ „ლელო“ აუცილებლად გაცნობებთ.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| შვედეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| ავსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| ბელარუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| ესტონეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| ლატვია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

### V ჯგუფი

**ისრაელი – რუსეთი 1-1**

1-0 ბრუმერი (63), 1-1 კოლივანოვი (79)

**ლუქსემბურგი – ბულგარეთი 1-2**

0-1 ბალაკოვი (14-პენალტით), 1-1 ლანგერსი (20), 1-2 კოსტადინოვი (57)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| ისრაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |

### VI ჯგუფი

**ჩეხეთი – ესპანეთი 0-0**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 0 | 17-2 | 9 |
| სლოვაკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-1 | 6 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-0 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-2 | 4 |
| ფარერები | 4 | 0 | 0 | 4 | 5-19 | 0 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-18 | 0 |

### VII ჯგუფი

**სან-მარინო – ბელგია 0-3**

ვერჰაიენი (10), ნილისი (20, 46)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 12-3 | 6 |
| ბელგია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| თურქეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| სან-მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 0-14 | 0 |

### VIII ჯგუფი

**ისლანდია – რუმინეთი 0-4**

მუნტიანუ (21), ჰაჯი (60), პოპესკუ (75), პეტრესკუ (81).

**ირლანდია – მაკედონია 3-0**

მაკატიერი (8), კასკარინო (46,70)

**ლიტვა – ლიხტენშტეინი 2-1**

1-0 იანკაუსკასი (43), 1-1 ცეხი (54), ნარბეკოვასი (55).

რავანელი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-0 | 6 |
| ლიტვა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| მაკედონია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| ისლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| ლიხტენშტეინი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-10 | 0 |

### IX ჯგუფი

**ალბანეთი – პორტუგალია 0-3**

ფიგუ (11), ელდერი (75), რუი კოშტა (86).

**სომხეთი – გერმანია 1-5**

1-0 ჰესლერი (20), 2-0 კლინსმანი (26), 3-0 ჰესლერი (39), 4-0 ბობიჩი (69), 5-0 კუნცი (81), 5-1 კ. მიქაელიანი (85)

ამ დღეს „რაზდანის“ სტადიონზე ანშლაგი იყო: 15 წელია ამდენი ხალხი ერევნის სტადიონზე არ მინახიაო, ირწმუნებოდა სომეხი კომენტატორი. ლაიწყო თუ არა შეხვედრა, ისეთი ღრიანცელი ატეხა მაყურებელმა, ისეთი გაშმაგებით ევლთნენ სომხები სტუმრებს, ერთი პერიოდი გავიფიქრეთ — წახდა გერმანელთა საქმეო. მაგრამ ოსტატობამ მალე თავისი სიტყვა თქვა: ჰესლერმა ყუმბარისებური დარტყმებით, კლინსმანმა ბრწყინვალე თავურით, ბობიჩმა და კუნცმა დასწრებაზე სომხთა მეკარე ბერეზოვსკის შავი დღე აყარეს. ერთადერთი, რაც მასპინძლებმა მოახერხეს, მატჩის ბოლოს „პრესტიჟის გოლი“ გაიტანეს.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 4 |
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 5-1 | 3 |
| სომხეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-6 | 2 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

ძოლა

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

✪ **საფრანგეთის** ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ემე ჟაკე შემადგენლობის ნაწილობრივ განახლებას ცდილობს და ამ მიზნით ახალბედა ფეხბურთელებს ეძებს. მან უკვე მოიწვია გუნდში ოთხი მოთამაშე, რომლებიც ადრე არასდროს გამოსულან ნაკრებში. ესენია: მეკარე კრისტოფ რევო („პარი“), მცველები – ვენსან კანდელი („გენგამი“) და ალენ გომი („ოსერი“), აგრეთვე, თავდამსხმელი ფრანკ გავა (ლიონი). რევო და გომი 24 წლისანი არიან, კანდელი 23-ის, როლო გავა – 26 წლის.

✪ როგორც ჩანს, „მანჩესტერ სიტიმ მწვრთნელს მიაგნო. სულ ბოლოს კლუბის პრეზიდენტის ფრენსის ლის წინადადება უარყო „ევერტონის“ მთავარი მწვრთნელის მოადგილემ, 45 წლის მოტლანდიელმა ვილი დონეკიმ, რომელიც წლების მანძილზე მანჩესტერელთა დაცვის ხაზში თამაშობდა. იგი მესამე კანდიდატი იყო ჯორჯ გრემისა და დეივ ბასეტის შემდეგ, რომელმაც უარი უთხრა პრეზიდენტს. და აი, ცნობილი გახდა რომ „სიტის“ ამიერიდან უხელმძღვანელებს „კრისტალ პალასის“ ტექნიკური დირექტორი სტივ კოპელი.

✪ **ლიტვის** ნაკრები ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად მიემგზავრება ბრაზილიაში, სადაც 16 ოქტომბერს ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს შეხვდება. მსოფლიო ჩემპიონის მწვრთნელმა მარიო ზაგალომ ამასთან დაკავშირებით ევროპიდან ექვსი ფეხბურთელი გამოიძახა – რონალდო („ბარსელონა“), ლეონარდო („პარი სენ-ჟერმენი“), დონიზეტი („ბენფიკა“), ზე მარია („პარმა“), ანდრე კრუზი („ნაპოლი“) და მაურიო სილვა („დეპორტივო“).

✪ **პერუს** „ატლეტიკო ტორინოს“ მეკარემ მარტინ კასტრომ განაცხადა, რომ „უნივერსიტარიო დე დეპორტესის“ წარმომადგენლებმა 5 ათასი დოლარი ქრთამი შესთავაზა, რათა „ლოიალობა“ გამოეჩინა მის გუნდთან შეხვედრაში. მან აღნიშნა ისიც, ანალოგიური წინადადებით მიმართეს მის კიდევ ორ თანაკლუბელს, რასაც „უნივერსიტარიოს“ პრეზიდენტი ხაიმე ლეონი კატეგორიულად უარყოფს.

✪ **ბრაზილიაში** მწვრთნელების ცვლა უკვე ანეკდოტურ ხასიათს იღებს;. აგვისტოს შემდეგ მთავარი მწვრთნელი 11 გუნდში შეიცვალა (ოცდაოთხიდან). მწვრთნელთა ამ თავისებურ ოთურმას ჰყავს რეკორდსმენები. „გუარანს“ მხოლოდ ათ კალენდარულ შეხვედრაში თავკაცობდა კარბონე. ეს „რეკორდი“ გააუმჯობესა მარიო იულიატომ, რომელიც „პარანას“ მწვრთნელი იყო 20 დღის მანძილზე. მაგრამ აბსოლუტური რეკორდი ეკუთვნის ვალდირ ესპინოზას, რომელიც ადრე „კორინტიანსს“ წვრთნიდა. მან თავის ახალ პოსტზე დაჰყო მხოლოდ 48 საათი და წავიდა გუნდიდან იმის გამო, რომ ფიზაღზრდის დარგში გუნდის მწვრთნელად არ მოიწვიეს ვინმე რიველინო სერჯა. და კიდევ ერთი რეკორდის შესახებ. „გუარანს“ ერთი წლის განმავლობაში 10 სხვადასხვა მწვრთნელი ჰყავდა.

✪ **იოჰან** კრუიფს არ მოსწონს მისი ყოფილი გუნდის „ბარსელონას“ თამაში. თუმცა თვლის, რომ გუნდის ახალი მწვრთნელი ბობი რობსონი, თუ კი მისცემენ მას დროს და საშუალებას, შექმნის კარგ გუნდს. კრუიფი მკაცრად აკრიტიკებს „ბარსელონას“ პრეზიდენტს ხოსე ლუის ნუნიესს არასწორი სატრანსფერო პოლიტიკისათვის.

## საქართველოს თასზე

გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩები (ფრჩხილებში ნაჩვენებია პირველი მატჩის შედეგი):

არმაზი (მცხეთა) – სიონი (ბოლნისი) 2-1 (0-2)
მერაქი (დედოფლისწყარო) - მერანი-91 (თბილისი) 1-1 (0-4)
მორკინალი (თბილისი) – მეტალურგი (რუსთავი) 3-3 (1-2)
ლოკომოტივი (თბილისი) – ივერია (ხაშური) 1-2 (0-0)
ასკ (თბილისი) – კახეთი (თელავი) 4-1 (2-2)
ცხინვალი – მევარდენი-თსუ (თბილისი) 2-4 (1-5)
სულორი (ვანი) – სამტრედია 0-1 (0-1)
იმერეთი (ხონი) – სამგურალი (წყალტუბო) 1-4 (0-1)
დინამო-2 (ბათუმი) – ოდიში (ზუგდიდი) 0-1 (1-5)
მადაროელი (ჭიათურა) – ტორპედო (ქუთაისი) – გადაიდო
„დინამო-2“ (თბილისი) – დილა (გორი) – გადაიდო.

## იქნებ ველოდით, მაგრამ ასეთ მარცხს, ალბათ, არა!

9 ოქტომბერი. არეცო. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი:

იტალია — საქართველო 6-0. მსაჯი: მ.დე მელო. პერეირა (პორტუგალია)

**იტალია:** ბუფონი, სარტორი (პისტონე 64), კოკო, ამბროზინი, ოშადოგანი, რიველტა, ლოკატელი, ფიორე (ბარონიო 66), ლუკარელი, ტაკინარდი, კამარატა (ვენტოლა 56).

**საქართველო:** ასლანაძე, კალაძე, გახოკიძე, ლომიძე, დავითნიძე, შ. ხუჯაძე, კიკნაძე, დ. მუჯირი (ზირაქიშვილი 55), ქებაძე, ფოცხვერია (იაშვილი 65), აშვეთია (დემეტრაძე 46)

**გოლები:** 1-0 კამარატა (6), 2-0 ლუკარელი (11) — პენალტით, 3-0 ლუკარელი (21) — პენალტით, 4-0 ტაკინარდი (58) — პენალტით, 5-0 ლუკარელი (65), 6-0 ლოკატელი (70)

**გაფრთხილება:** კოკო, მუჯირი, კალაძე, ზირაქიშვილი

**გაძევება:** დემეტრაძე

წაგებაც არის და წაგებაც. რაც არეცოში მოხდა, ნამდვილად არ ველოდით. კი, ახალგაზრდული ნაკრების წაგებას შეჩვეულნი ვართ და არც ახლა უნდა გვქონოდა ილუზიები, მაგრამ იტალიელებმა ისეთი სირცხვილი გვაჭამეს, არ გამოგვეყოფა თავი.

მატჩის 32-ე წუთზე კიკნაძემ პირველად და უკანასკნელად დაარტყა მასპინძელთა კარის მიმართულებით და ბურთი ჩვენიანს, აშვეთიას მოხვდა. ეს იყო და ეს, მეტი სახეირო თავდასხმაში ჩვენებს არაფერი გაუკეთებიათ. ერთადერთი, ვინც რაღაცას ცდილობდა, ფოცხვერია იყო, მაგრამ იგი ამ დღეს უფრო მცველებს ეხმარებოდა.

გაგვაკვირვა ჩვენი გუნდის სასტარტო შემადგენლობამ — ბევრი მოთამაშე უჩვეულო პოზიციაზე მოქმედებდა. ასე, მაგალითად, თავის გუნდში ლომიძე საყრდენ ნახევარმცველად თამაშობს, ამ მატჩში განაპირა მცველის მოვალეობას ასრულებდა, ამავე პოზიციაზე ათამაშეს ნახევარმცველი გახოკიძეც. სწორედ ამიტომ იყო, რომ ლოკატელიმ და კოკომ ფლანგებზე ორივეს „სისხლი გაუშრო“. აშკარად სუსტად გამოიყურებოდა მუჯირი, რომელსაც, ეტყობოდა, სათამაშო პრაქტიკა აკლდა. ძალზე ნელა ირჯებოდა კიკნაძე.

პრაქტიკულად, ქართველებს ხუთმა იტალიელმა მოუგო: ტაკინარდიმ, კამარატამ, ლუკარელიმ, რივალტამ, ამბროზინიმ ისე ისეირეს, თითქოსდა ქუჩის გუნდს ეთამაშებოდნენ. ჩვენს ფეხბურთელებს მონდომების ნიშანწყალიც არ ეტყობოდათ — ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, რომ მოედანზე ისინი ვიღაცამ იძულებით გამოიყვანა...

მოდით, ნუ ავყვებით ახლა ემოციებს და დაველოდოთ, რა დასკვნებს გააკეთებენ, ვისაც ეს ეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნბა-ს ამბები

☑ ნბა-ს სუპერვარსკვლავი დომენიკ უილკინსი, რომელიც ერთი სეზონის განმავლობაში საბერძნეთის „პანათინაიკოსის“ ღირსებას იცავდა, ბრუნდება შეერთებულ შტატებში. მასთან კონტრაქტის გაფორმებას აპირებს „სან-ანტონიო სპერსი“. უილკინსი, რომელმაც უკვე 13 სეზონი გაატარა ნბა-ში, ადრე „ატლანტის“, „კლიპერსისა“ და „ბოსტონის“ ღირსებას იცავდა. როგორც სნაიპერს პროფესიული კალათბურთის ისტორიაში მას მერვე ადგილი უკავია. იმისათვის, რომ გადავიდეს მეექვსე ადგილზე და გაუსწროს ჯონ ხავლიჩეკ-ალექს ინგლიშის დუეტს, უილკინსს სჭირდება 1007 ქულის მოგროვება, რაც არც ისე ძნელია.

☑ გასულ კვირას „სიეტლის“ მთელი გუნდი საწვრთნელ ბანაკში შეიკრიბა. არ იყო იქ მხოლოდ თავდამსხმელი შონ კემპი. იგი გულდაწყვეტილია იმით, რომ კლუბის სხვა ხუთ წევრზე ნაკლები ხელფასი აქვს — 3 მილიონი დოლარი. ამიტომ მან გაფიცვა გამოაცხადა. მაგრამ ნბა-ს წესების თანახმად უკეთესი ხელფასისათვის ბრძოლა მას შეუძლია მხოლოდ მომავალ სეზონში.

# ველოსპორტის ტრასებზე

☒ 90-Ე ტრადიციული რბოლა პარიზი – ტური, ამავე დროს მსოფლიო თასის მეცხრე ეტაპს წარმოადგენდა. გამარჯვება მოიპოვა იტალიელმა ნიკოლა მინალიმ („გევისი“), რომელმაც 253 კილომეტრიანი ტრასა 5:38.55-ში დაფარა. ცხრა ეტაპის შემდეგ მსოფლიო თასისათვის ბრძოლას ისევ ძველი ლიდერი ჰყავს, ბელგიელი იოჰან მიუზეუვი – 162 ქულა, რომელიც უახლოეს მეტოქეს იტალიელ ანდრეა ფერიგატოს 36 ქულით უსწრებს.

☒ ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონმა ჯგუფურ რბოლაში, შვეიცარიელმა პასკალ რიშარმა გადაწყვიტა მიატოვოს თავისი ველოჯგუფი „ემ დბი“. სწორედ ამის გამო მან უარი თქვა ლუგანოს (შვეიცარია) მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე. მომავალი წლიდან რიშარი ფრანგული კაზინოს ღირსებას დაიცავს.

☒ ამ რამდენიმე დღის წინ აშშ-ს ქალაქ ოსტინის (ტეხასის შტატი) კლინიკაში 25 წლის ამერიკელ ველოსიპედისტს ლენს არმსტრონგს („მოტოროლა“) გაუკეთეს საკვერცხეების კიბოს ურთულესი ოპერაცია. პირველი ცნობის თანახმად, ავადმყოფი თავს ნორმალურად გრძნობს.

# მკვლელობა ნოვოსიბირსკში

ნოვოსიბირსკში ავტომატით დაცხრილეს მრავალგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ალექსანდრ კარელინის ფონდის სპორტკომპლექსის მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ალექსანდრ ნესტერენკო.

ეს მწვრთნელი სხვა სფეროშიც მოღვაწეობდა — ხელმძღვანელობდა ქალაქის ერთ-ერთი რაიონის მძლავრ კრიმინალურ დაჯგუფებას.

მკვლელობა მეტად თავისებურად განხორციელდა. ორი კილერი, ასე, 30-30 წლის ასაკისა, შესახლდა სპორტკომპლექსის პირდაპირ მდებარე სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებელში. ოთხი დღის შემდეგ კი ხელსაყრელი მომენტიც დადგა. მწვრთნელმა ყმაწვილი მოჭიდავეები კროსზე გამოიყვანა. როცა იმ ფანჯარასთან გაირბინეს, სადაც ავტომატიანი კილერი დარაჯობდა, მწვრთნელი ყმაწვილებით იყო გარშემორტყმული. ეტყობა, მკვლელს ბავშვები შეეცოდა, ერთი წუთის შემდეგ ერთი ბავშვი განზე გადახტა, რათა გუბეში არ შეეტოპათ, რასაც ავტომატის ჯერი მოჰყვა. ნესტერენკო მუცელსა და ფეხში დაიჭრა და საავადმყოფოში წაყვანაც კი არ გახდა საჭირო მყისვე, გარდაიცვალა.

ერთი აურზაური ატყდა. დამსწრეებმა, რომელთა შორის ერთი მილიონერიც იყო, ყურადღებაც კი არ მიაქციეს ორ კაცს, რომლებიც მშვიდად გამოვიდნენ სასტუმროდან და მოსცილდნენ იქაურობას, რაც შეეხება სასტუმროს ქირას, იგი მათ ადრე გადაიხადეს...

«ლელოს» კორესპონდენტი ხათუნა აფაქიძე გერმანიიდან

# „მე ატომური ბომბი ვარ!“

ნბა-ს ორი ვარსკვლავი — შაკილ ო'ნილი (თეთრ მაისურში) და მეჯიკ ჯონსონი

ამ სიტყვების ავტორი პროფესიონალი კალათბურთელი შაკილ ო'ნილია (24 წ.). მის შესახებ ბევრი იწერება. მაგრამ ჟურნალისტთა საყვარელი თემა მაინც მის ფეხის ზომაზე დავაა. ზოგის თქმით ის 50 ზომის ფეხსაცმელს ატარებს. ეკიპირების მენეჯერის მტკიცებით კი ო'ნილის სპორტული ფეხსაცმელი 61 ზომისაა. იგი ბანდაჟირებული ფეხებით თამაშობს (2,16 მეტრის სიმაღლისაა და 272 ფუნტს იწონის). „ზეკაცი“ კვირაში ერთხელ იპარსავს თავს. შეკილს მარცხენა მკლავზე ხუთკუთხედში ლამაზად მოხაზული სვირინგი — "S" აქვს გამოსახული, რაც სუპერმენს ნიშნავს. 20 წლის ო'ნილის ნაცვლად მშობლებმა მოაწერეს ხელი 7-წლიან კონტრაქტს. რადგან შაკილი ჯერ არ იყო სრულწლოვანი.

კონტრაქტის თანახმად ის 41 მილიონ დოლარს მიიღებს. დღესდღეობით შაკილი გუნდში ყველა სტატისტიკური მონაცემებით პირველია: სეზონში 2377 ქულა, მატჩში — 53, დამატებით დროში — 13. ასევე ლიდერობს ბლოკირებულ გდებებშიც. მისი სუსტი წერტილია თავისუფალი გდება — დისტანციიდან. მხოლოდ 47% აღწევს მიზანს. ამიტომაც ურჩია მწვრთნელმა დამატებითი ვარჯიში სროლის სრულყოფისათვის.

შაკილ ო'ნილი ნამდვილი ვარსკვლავია. ის ორლანდოში ისეთივე პოპულარულია, როგორც მიკიმაუსი „დისნეი ლენდში“. რასაკვირველია, საკუთარი მენეჯერი ჰყავს, რომელთან ერთად, სულ ახლახანს, კინოკორპორაცია ჩამოაყალიბა. 5-6 მრჩეველთან ერთად საქმეში შაკილის დედაც ჩაება.

ო'ნილი 22 მილიონის საფასურად წელიწადში რეკლამას უწევს „პეპსის“, „რიბოკის“ და „შპალდინგის“ პროდუქციას. გერმანული პრესის ციტირებით „შაკილი ქველმოქმედიცაა“. შინ თამაშის დროს ის 20 ბილეთს ყიდულობს ავადმყოფი ბავშვებისათვის. მასთან ინტერვიუს აღება კი ცოტა არ იყოს დამღლელია. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტები ვინ, როგორ, მაგრამ მაინც ართმევენ თავს ამ ამოცანას. ის კითხვებს რბილი, წყნარი ხმით პასუხობს — მე ერთი ჩვეულებრივი კაცი ვარ, ხმაური და აყალ-მაყალი ნერვებს მიშლის.

მართალია, ჩვენც ჩვეულებრივ ადამიანებს ხელს გვიშლის ხმაური და აყალ-მაყალი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამაში არავინ გვიხდის 41 მილიონ დოლარს. ამას იმსახურებს ის, ვისაც შეუძლია თქვას — „მე ატომური ბომბი ვარ: თამაშის დროს“..

*„შპიგელ შპეციალი“*

## როგორ იხსენებს შაკილი გერმანიას და რა სურს მომავალში

### ინტერვიუ «შპიგელ შპეციალიდან»

„შპეციალი“: *ოთხმოციან წლებში თქვენ ფელდასთან ახლოს ცხოვრობდით და იზრდებოდით, მაინც რატომ გეზიზღებოდათ გერმანია, როგორც ამას თქვენს წიგნში წერთ?*

ო'ნილი: იქ ისეთი ცხოვრების სტილია, რომელიც ჩემთვის უცხოა. მაგრამ მაინც ყველაფერი არ იყო საშინელი — აი, თუნდაც „შემწვარი ძეხვი“ ან ოქტომბრის ზეიმი — ეს ორი რამე მომწონდა. სხვათა შორის, გერმანელებიც მიყვარს.

„შპეციალი“: *კალათბურთის თამაში რატომ დაიწყეთ. რადგან მაღალი იყავით?*

ო'ნილი: დიახ, თანაც ბევრი დრო მქონდა სავარჯიშოდ. ვიცოდი, რომ ბუნებრივი ტალანტი არ გამაჩნდა. ჩემი წარმატება მძიმე მუშაობის შედეგია.

„შპეციალი“: *კიდევ რას გაიხსენებდით გერმანიაში გატარებული 3-4 წლიდან?*

ო'ნილი: რონში ციგით ვისრიალე.

„შპეციალი“: *გერმანელი მეგობრები თუ გყავდათ?*

ო'ნილი: მგონი ერთი, თუმცა არა. ის ნახევრად ამერიკელი იყო.

„შპეციალი“: *ალბათ გერმანულიც კარგად არ იცოდით.*

ო'ნილი: როცა სკოლის ავტობუსში ციოდა, მე მძღოლს გერმანულად ვეუბნებოდი, რომ გათბობა ჩაერთო.

„შპეციალი“: *თქვენ შეგიძლიათ, ალბათ, 100 მილიონიანი ჰონორარი მიიღოთ.*

ო'ნილი: ყველაფერია შესაძლებელი. მაგრამ მხოლოდ ფული არ არის მთავარი, სიამოვნება და გართობა მინდა, ძმაო.

„შპეციალი“: *და ამიტომ, განაგრძობთ თუ არა ჰოლივუდ — რეპერის კარიერას?*

ო'ნილი: რასაკვირველია. მინდა ვითამაშო როგორც კლინტ ისტვუდი ან არნოლდ შვარცენეგერი თამაშობს, ოღონდ სასიყვარული სცენები არ მხიბლავს.

# იუმორი



# შერეული კროსვორდი



**თარაზულად:** 5. ცნობილი რუმინელი ტანმოვარჯიშე ქალი — ემიგრანტი, 6. ჩემპიონატში გამარჯვებული, 8. ცხინვალის ადრინდელი სახელი, 11. ცურვის ყაიდა, 14. ცნობილი იაპონური ფირმა, 15. თოვლის ფიფქი, 16. შესავსები ფურცელი მონაცემებით, 17. ძალოსნობის ინვენტარი, 21. მსაჯი ანუ... 22. ცნობილი ფეხბურთელის მალდინის სახელი, 23. ბრძენი ანუ... 26. სპორტში მსაჯის ტიტულის განმსაზღვრელი, 27. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმის აგებულებას, 28. თაობიდან თაობაში გადაცემული წესჩვეულებები, ყოფაქცევის ნორმები, შეხედულებები და სხვ.

**შვეულად:** 1. სპორტის სახეობა, 2. ცნობილი ფეხბურთელი — ესპანეთის ეროვნული ნაკრების ყოფილი გარემარბი, 3. შრომასა და ბრძოლაში თავდადებით გამორჩეული, 4. ყოფილი საფეხბურთო მსაჯი ბალტიისპირეთიდან, 7. მამაკაცის მოკლე სამოსი, წელს ზევით ჩასაცმელი, 9. თამაში ცალ ფეხზე ხტუნვით, 10. მხარე საქართველოში, 12. აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი, 13. ფიფა-ს გენერალური მდივანი, 18. ყოფილი ქართველი ფეხბურთელი, ამჟამად სპორტის ხელმძღვანელი მუშაკი, 19. საქართველოში გამომავალი იუმორისტული ჟურნალი, 20. რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აფრიალების ერთ-ერთი მონაწილე, 24. კვანტი ჭიდაობაში, 25. ვალის აღებისას სანაცვლო ქონება.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. „ტორპედო“, 7. ქამანდი, 8. ეშტრეკოვი, 11. სროლა, 12. ჩანგი, 13. დიასი, 16. შირერი, 17. სრიალი, 21. „რეალი“, 22. გულკო, 23. შირეა, 26. „სამტრედია“, 27. „იმერეთი“, 28. ალბერტო.

**შვეულად:** 1. კორნერი, 2. „ოდიში“, 3. ფარვა, 4. „ადიდასი“, 6. არეკნი, 9. ალბერეილი, 10. ჩიქვანაია, 14. ნარდი, 15. ბურთი, 18. ბერგომი, 19. გლორია, 20. „მეშახტე“, 24. ხალთა, 25. ვიალი.

# საჭადრაკო ამოცანა



შამათი 2 სვლაში

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX.

„ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ.სიმონიშვილი. შემსრულებლები მ. წოწორია, ნ.რამიშვილი, გ. სურმავა